ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 7 სექტემბერი, 2021 №166 (8695) ფასი: 60 თეთრი

ნინო ლომჯარია: „დეკანოზ სპირიდონ ცქიფურიშვილისა და ზურაბ მახარაძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა დაიწყოს“

ალექსანდრე დარახველიძე: „დეკანოზ სპირიდონისა და ზურაბ მახარაძისთვის ბრალდების წარსადგენად მტკიცებულებები არ არის“

გვ.5

მიხეილ სააკაშვილი: „2 ოქტომბრის არჩევნებში საქართველოში ჩავალ, დაპატიმრების არ მეშინია“

გვ.2

„სააკაშვილი თუ ახლა არ ჩამოვიდა, მაშინ კაპიკია მისი ფასი!“

პაატა ზაქარეიშვილი: „კიდევ ერთ პროგნოზს დავდებ... „ქართული ოცნება“ სპექტაკლს დგამს“

გვ.2

„სააკაშვილი არ ჩამოვა და ციხეში არ ჩაჯდება“

გვ.3

სოსო ცინცაძე: „სამუშაო, ხალხში გასვლა თითქოს დაივიწყა ოპოზიციამ“



გვ.3

„ქართველებმა მურვან ყრუს მოუგეს და „ოცნება“ ვინ არის?!“

დავით კირკიტაძე: „ხომ დატოვეს მიშელის დოკუმენტი, რატომ უბრუნდებიან ამნისტიის კანონს?!“

შოთა მალაშხია: „ოპოზიციამ არ უნდა დაუშვას, რომ „ოცნებამ“ და გახარიამ ერთმანეთში პინგ-პონგი ითამაშონ“

გვ.4

„ოცნების“, გახარიას და „პატრიოტთა ალიანსის“ შემდგომი მოქმედებები რუსეთის მითითებებზე იქნება დამოკიდებული“

ISSN 1987-9385

4 ირაკლი ღარიბაშვილი: „ძალიან დიდი სურვილი მაქვს, ჩამოვიდეს სააკაშვილი, კარგად გავერთობით“

4 საქართველოში მე-5 ტალღა იქნება, მაგრამ ისეთი მძიმე არა, როგორიც მე-3 და მე-4 ტალღა იყო

5 პატიმარმა ტარიელ დვალმა გლდანის ციხეში თავის მოკვლა სცადა

5 „ავთანდილ გალდავა ლაშა დოლაბერიძეს დაჭერით ემუქრებოდა, თუ ის ქვეყანას არ დატოვებდა“

მიხეილ სააკაშვილი: „2 ოქტომბრის არჩევნებში საქართველოში ჩავალ, დაპატიმრების არ მეშინია“

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თვითმმართველობის არჩევნებზე საქართველოში ჩამოსვლას აანონსებს. ამის შესახებ სააკაშვილმა საკუთარ ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნებულ ვიდეო მიმართვაში განაცხადა.

სააკაშვილი საქართველოში ჩამოსვლისკენ უცხოეთში მყოფ სხვა მოქალაქეებსაც მოუწოდებს.

– პირადად მე ჩავალ ამ არჩევნებზე საქართველოში და ასევე მინდა მოვუწოდო უცხოეთში მყოფ ჩვენს თანამოქალაქეებს – ვისაც გაქვთ ამის საშუალება, არჩევნების დღეებში აიღეთ შვებულება და ვისაც როგორ შეგიძლიათ ჩასვლა – ხმელეთით, ჰაერით, წავიდეთ ყველა ერთად საქართველოში! – განაცხადა სააკაშვილმა.

მანვე ისაუბრა მის წინააღმდეგ აღძრულ საქმეებზე.

– ჩემ წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც მსოფლიოში არც ერთი ქვეყანა არ ცნობს. მე დავდივარ ყველგან, მათ შორის საქართველოს მეზობელ ქვეყნებში. მიღებენ ყველგან და არასდროს არავის კითხვები არ უჩნდება იმ ე.წ. სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩემზეა აღძრული საქართველოში. უკვე ესაა ნათელი დადასტურება იმისა, რომ ეს საქმეები არის გაყალბებული და აბსოლუტურად საფუძველს მოკლებული, მაგრამ მე არც მათი დაპატიმრების არ მეშინია იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ, ქართველი ხალხი გაითავისუფლებს საკუთარ თავსაც და გამათავისუფლებს მეც. არ მეშინია, ჩემი ბედი გადავცე ქართველი ხალხის ხელში, – განაცხადა სააკაშვილმა.

მისი თქმით, არანაირი რევანში არ იქნება იმიტომ, რომ უნდა დავასრულოთ ერთი და იგივე წრეზე ამ რევანშით და უბედურებით სიარული.

– ივანიშვილი უკან მოიტანს მოპარულ ყველა კაპიკს. ის თითოეულ ქართველს აუნაზღაურებს იმ ზარალს, რომელიც მიაყენა; აუნაზღაურებს ზარალს იმ შვილებს, რომელთაც დედები და მამები გაუქცია უცხოეთში, აუნაზღაურებს ზარალს ჩვენს გლეხობას, რომელიც ვერ ასაღებდა თავის პროდუქციას მრავალი წელი; აუნაზღაურებს ზარალს მეანაბრეებს და იმ ხალხს, რომელმაც აიღო კრედიტი და გაუუფასურდა, ვერ აბრუნებს, რადგან ვალუტა 2-ჯერ და მეტჯერ დაეცა; ის აუნაზღაურებს ზარალს იმ ხალხს, ვინც სამსახურები დაკარგა და ვინც დარჩა ელემენტარული შემოსავლების

გარეშე; ის აუნაზღაურებს გაძვირებულ წამლის ფულს თითოეულ ადამიანს, ვისაც ეს წამალი სჭირდება. ის აუნაზღაურებს დანაკარგს, თუნდაც ფინანსურს მათ, ვინც ოჯახის წევრები დაკარგა, რადგან საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც კოვიდის შედეგად 2-ჯერ გაიზარდა სიკვდილიანობა ივანიშვილის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების და უმოქმედობის გამო, რომელიც ასევე გამოიწვია ივანიშვილის შეგნებულმა მავნებლობამ და ქართველი ერის გენოციდის მცდელობამ. ივანიშვილს მოუხდება ყველა კაპიკის უკან მოტანა. მე ამას ვპირდები მას და პირველ რიგში ქართველ ხალხს. ეს ჩვენ ყველას ერთად გამოგვივა.

ყველა კონკრეტულ გადაადგილებაზე, ყველა კონკრეტულ თარიღზე, მარშრუტზე, სატრანსპორტო საშუალებაზე, როცა ყველაფერი ეს ხელთ მექნება, საქმის კურსში ჩაგაყენებთ, ამ ყველაფერს ვაკეთებ გახსნილად, შეგნებულად და ჩვენ გამარჯვებას ამჯერად ნამდვილად არ აქვს ალტერნატივა, გამარჯვებების დრო დგება ქართველი ერისთვის, ჩვენი სიამაყისა და ღირსების აღდგენის დრო დგება, ჩვენ ისევ განვაცვიფრებთ მთელ მსოფლიოს, როგორც თავის დროზე და ისევ ვიქნებით ხელზე სატარებელი და საამაყო ერი პირველ რიგში საკუთარი თავისთვის და თითოეული ქართველისთვის მთელ მსოფლიოში.

მე ძალიან ვამაყობ თითოეული თქვენგანით და ვიცი, რომ ივანიშვილის გათვლა, რომ დაგვაჩმორა, მიწასთან გაგვასწორა, ბრძოლაზე ხელი აგვაღებინა, ბოლომდე ჩაუფლავდება, იმიტომ, რომ ჩვენ ვართ ძალიან ღირსეული, ამაყი, განსაკუთრებული ერი, ჩვენ ქართველები ვართ. ქართველები იბრძვიან და ვინც იბრძვის, ის იმარჯვებს, ჩვენ ვიბრძოლეთ ძალიან მაგრად და ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ.

აბა, თქვენ იცით! ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი, – განაცხადა სააკაშვილმა.

„სააკაშვილი თუ ახლა არ ჩამოვიდა, მაშინ კაპიკია მისი ფასი!“

პაატა ზაქარეიშვილი: „კიდევ ერთ პროგნოზს დავდებ... „ქართული ოცნება“ სპექტაკლს დგამს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

„კალაძე და გახარია, სამომავლოდ ერთმანეთს ხედავენ. თუ დააკვირდებით, ძალიანაც არ აკრიტიკებენ ერთმანეთს, ძალიან სასაცილოა მათი კომენტარები. იმ ფონზე, თუ როგორი ლანძღვა-გინებაა ქართულ პოლიტიკაში“

– ბატონო პაატა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? არჩევნებამდე ერთ თვეზე ნაკლები რჩება და პროცესებიც მეტად იძაბება. ჩვენს ბოლო ინტერვიუში ბრძანეთ, რომ ძალიან საინტერესო გახდება პროცესი, თუკი გახარია დააყენებს მერობაზე საკუთარ კანდიდატურასო და გამართლდა თქვენი ვარაუდი. რა მოლოდინი გაქვთ?

– რომ იტყვიან, ვიწინასწარმეტყველეთ. გულახდილად გეტყვით, არანაირი ინფორმაცია არ მქონდა, უბრალოდ, ლოგიკიდან გამომდინარე, გახარიას უნდა დაეყენებინა მერობის კანდიდატად თავის თავი, თუ უნდოდა, რომ პოლიტიკური კარიერა დაეწყო.

– თუმცა ბევრი თვლის, რომ შესაძლოა ამითვე დაასრულოს, თუკი ამ არჩევნებში სერიოზულ წარმატებას ვერ მიაღწია. ასე იქნება?

– ჩემი აზრით, მას მერობაზე არ აქვს გათვლა, ის ცდილობს გაზომოს, რამდენად რეალისტურია მისი მომავალი. ამიტომ ეს ყველაზე კარგი ვარიანტი იყო, ამაზე უკეთეს ვარიანტს ის ვერ შექმნიდა. რა თქმა უნდა, კალაძე გაიმარჯვებს, თუმცა ძალიან კარგი იქნება თუ დაინიშნება მეორე ტური და საინტერესოა, კალაძესთან ერთად ვინ გავა მეორე ტურში. გახარია თუ გავა, ეს იქნება უდიდესი წარმატება გახარიასი. ეს იქნება საკმაოდ სერიოზული ინვესტიცია, ეს იქნება სერიოზული შეტყობინება კალაძისთვის, რომ გახარია არ არის მტრის გუნდიდან და შესაძლოა მისი გუნდის ნაწილი გახდეს, რომ მასთან ერთად შეიძლება საქმის კეთება. რასაც ვაკვირდები, კალაძე აშკარად დისტანცირებს „ქართული ოცნების“ გუნდისგან. გახარიამ ზუსტად იცის, რომ ვერ გახდება მერი და არც სჭირდება მერობა.

– აბა რა უნდა?

– მას სჭირდება, მთელ საქართველოს შეატყობინოს, რომ მისი პარტია არსებობს და მას მარტო თბილისელებზე არა აქვს გათვლა. პოლიტიკურად მან ძალიან სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

– მისი სურვილი ნაციონალური მოძრაობის ჩანაცვლება იქნება?

– მას ნაციონალური მოძრაობა არ ადარდებს. მისი მიზანია, საზოგადოებაში შექმნას განცდა, რომ „ქართული ოცნება“ არ არის მხოლოდ ივანიშვილის ყურმოჭრილი მონები, ისეთი, როგორიც კობახიძეა, ისიც ცალსახაა, რომ თავად არ არის ივანიშვილის პროექტი და არც მისი ყურმოჭრილი მონა. როგორც სააკაშვილი წამოვიდა შევარდნაძისგან, ახლაც მსგავს პროექტს აქვს ადგილი. უბრალოდ, სააკაშვილისგან განსხვავებით, რომელმაც ღიად დაარტყა შევარდნაძეს, ეს ივანიშვილს არ ურტყამს. თუმც არც თანამშრომლობს. როდესაც გახარია ამბობს, არავის წინააღმდეგო, როგორც წესი, აქ ივანიშვილს გულისხმობს და სხვას არავის. ის ცდილობს ჩააჩოჩოს ყოფილი გუნდი ისე, რომ არ დაარტყას.

– ყოფილი გუნდი რომ გამუდმებით ურტყამს და ებრძვის?

– კი, ასეა. რადგან მისი ყოფილი გუნდი ხედავს, რომ გახარიას მიაქვს მათი ქულები. დღეს კალაძე გადაარჩენს მათ, ადგება და თავის ხმებს ავტომატურად ჩაურიცხავს „ოცნებას“, თუმცა ნურავის დაავიწყდება, რომ კალაძე დამოუკიდებელი მოთამაშეა. დღეს საქართველოში ყველაზე დაცული თანამდებობა არის მერის თანამდებობა. კალაძეს ვერავინ ვერაფერს ვერ გაუბედავს. კალაძე და გახარია, სამომავლოდ ერთმანეთს ხედავენ. თუ დააკვირდებით, ძალიანაც არ აკრიტიკებენ ერთმანეთს, ძალიან სასაცილოა მათი კომენტარები. იმ ფონზე, თუ როგორი ლანძღვა-გინებაა ქართულ პოლიტიკაში. თავისუფლად შეუძლია კალაძეს, ზუსტად იგივე ლექსიკონი გამოიყენოს გახარიას მისამართით, რასაც ღარიბაშვილი იყენებს, მოღალატე, გამყიდველი და ასე შემდეგ. კალაძეს ეს არასდროს არ უკადრებია. ასეთი დეტალები ძალიან მნიშვნელოვანია.

– ანუ უშვებთ კალაძის და გახარიას ერთად ყოფნას?

– არ გამოვრიცხავ, ოღონდ შემდეგ არჩევნებზე. 2022-ის იქნება თუ 2024-ის. ისეთი ოპოზიცია გვყავს, დიდი ალბათობით ის ვერც 2024 წლამდე ვერ გაძლიერდება. ამიტომ ძალიან დიდი შანსია კალაძე-გახარიას ალიანსი ვიხილოთ.

– ოპოზიცია ახსენეთ და გვესმის შეფასებები, რომ ასეთი სუსტი ოპოზიცია საქართველოს ისტორიას არ ახსოვსო. რატომ დაემართა ეს ოპოზიციას?

– არ ვიცი, რატომ დამართეს ეს ყველაფერი თავის თავს. აშკარად ჩანს, რომ ეს უკვე ჩარეცხილი ოპოზიციაა, სააკაშვილის ლექსიკონს რომ დავესესხო. აშკარაა, რომ ოპოზიცია საზოგადოებას ახალს ვერაფერს სთავაზობს. ადგილობრივი არჩევნები მოდის და ნიკა მელიას ჯერ არაფერი თბილისზე არ ულაპარაკია საერთოდ. ნაგვის ურნებზეც კი არ ულაპარაკია. მარტო იმას ლაპარაკობენ, რომ ივანიშვილი არის პუტინი და პუტინი არის ივანიშვილი. თბილისელებისთვის ეს ნაკლებად საინტერესოა. მოსახლეობას სულ სხვა მოლოდინები აქვს ადგილობრივი არჩევნებისგან. ეს არ არის პოლიტიკური მოლოდინების არჩევნები, მას სულ სხვა დატვირთვა აქვს. ამოიჩემეს რაღაცა სისულელე რეფერენდუმი, რომელიც აშკარად მოიხარშა სააკაშვილის თავში და ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს იმას, რამდენად ჰიპნოზი აქვთ და კვლავ მონუსხულები არიან სააკაშვილით.

– ბატონო პაატა, სააკაშვილი ახსენეთ, ჩამოვა თბილისში?

– ერთადერთი ნორმალური გადაწყვეტილება იქნება ჩამოვიდეს და ჩაჯდეს ციხეში! აი მაშინ, მთელ მსოფლიოს დაავიწყდება ავღანეთი და ყველა ილაპარაკებს იმაზე, თუ როგორ ჩასვეს ყოფილი პრეზიდენტი და რეფორმატორი ციხეში. მთელი კონგრესი, მთელი სენატი, მთელი ევროკავშირი მხოლოდ ამაზე ილაპარაკებს. პრეზიდენტს კი აუცილებლად მოუწევს მისი შეწყალება. სააკაშვილი კი გამოვა ციხიდან ერთ-ორ კვირაში აბსოლუტურად სუფთა, ყველა ბრალდების გარეშე.

– არის ამაზე წამსვლელი?

– ახალგაზრდა სააკაშვილს, რომელსაც მე მაშინ ვიცნობდი, ამაზე წამსვლელი იყო. ახლა დაბერდა, ძალიან მოეწონა კაი ცხოვრება, კომფორტი, რესტორნები, გოგოები და ვხედავთ, რომ ეშინია. თუ ახლა არ ჩამოვიდა, მაშინ კაპიკია მისი ფასი! სააკაშვილს თავისი ჩამოსვლით შეუძლია ახალი სიცოცხლე შესძინოს როგორც თავის თავს, ისე მის პარტიას.

– ბატონო პაატა, ამერიკელი კონგრესმენები სტუმრობენ საქართველოს, ეს დაემთხვა წინასაარჩევნო პერიოდს. რა არის ეს, „ოცნების“ ხელისუფლების კონტროლი და თითის დაქნევა თუ მეგობრული ვიზიტი?

– რა თქმა უნდა, კონტროლი. ეს გაფორმდება როგორც მეგობრული ვიზიტი, მაგრამ ძალიან მკაცრი განცხადებები გაკეთდება. ამერიკა საქართველოს უყურებს როგორც პარტნიორ სახელმწიფოს, ეს ერთი ადგილის თამაში არ გამოვა! ან ხართ ჩვენთან, ან ჩვენთან არა ხართ. თუ ჩვენთან არა ხართ, მაშინ სადა ხარ, ეს ამერიკას აღარ აინტერესებს. ეტყვიან, თუ ჩვენთან ხართ, ე.ი. ეს არის დემოკრატიასთან ყოფნა, ეს ნიშნავს იმას, რომ სასამართლო რეფორმა გაქვთ, რომ პარლამენტი პარლამენტია, პრეზიდენტი პრეზიდენტია, რომ გარედან არ იმართება სიტუაცია. დასავლეთი გეუბნება, თუ ხარ დემოკრატიული სახელმწიფო, მე მინდა დავინახო შენი დემოკრატიულობა. მათ უნდათ ნახონ, რაში იხარჯება მათი ფული, რა რეფორმებს ატარებენ. ამ დროს კი ჩვენ ვეუბნებით, რომ არ მინდა შენი დამადლებული ფული. ისინი ფულს გვაძლევენ დემოკრატიისათვის და თუ მას დემოკრატიაში არ ვხარჯავთ, უკაცრავად რა... ჩამოვიდნენ, ჰოდა, ჰკითხავენ ხელისუფლებას, თქვენ რა, მარტო ღვინოს აწარმოებთ და კარგად მღერით? უკაცრავად, მაგრამ ამაში ფულს არ გადაგიხდით. ისინი ფულს იხდიან სასამართლო რეფორმაში, დემოკრატიულ ინსტიტუტებში.

– ყველა პირობა და შეთანხმება დაარღვია „ოცნებამ“.

– აბსოლუტურად ყველა და ამ ფონზე, როდესაც კონგრესმენები აქ არიან, პარლამენტში აკეთებენ განცხადებას, რომ პროკურორის არჩევნებიც კი სათუოაო. არადა, ესეც ჩაიდო შარლ მიშელის შეთანხმებაში. ყველაფერზე უარს ამბობენ, აბსოლუტურად ყველაფერზე. აშკარაა, რომ ხელისუფლებამ ანტიდემოკრატიული გეზი აიღო. ანტიდემოკრატიისთვის ერთადერთი დიდი მოედანი, სადაც მათ დიდი სიხარულით და ტაშით დახვდებიან, ეს არის რუსეთი.

– საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა იწყება პარლამენტში და ამასაც ხომ არ ჩააგდებს „ოცნება“?

– ამ შემთხვევაში ხელისუფლება ბინძურ თამაშზე წავა. მოდით, კიდევ ერთ პროგნოზს დავდებ ამასთან დაკავშირებით. დაითვლიან ოპოზიციის თავებს პარლამენტში. აბსოლუტურად ყველას მოსთხოვენ ამ პროცესში მონაწილეობას. ერთი კაციც რომ გამოაკლდეს, „ოცნება“ ამ საკითხს ჩააგდებს. ანუ მთელ პასუხისმგებლობას აკიდებენ ოპოზიციას. ვინც არის პარლამენტში, ყველა ოპოზიციონერ დეპუტატს მოსთხოვენ ამ პროცესში მონაწილეობას და პასუხისმგებლობის განაწილებას, სხვა შემთხვევაში ჩააგდებენ საკონსტიტუციო განხილვას. აი ამ სპექტაკლს დადგმას „ქართული ოცნება“.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სააკაშვილი არ ჩამოვა და ციხეში არ ჩაჯდება“

სოსო ცინცაძე: „სამუშაო, ხალხში გასვლა თითქოს დაივიწყა ოპოზიციამ“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, წინასაარჩევნო განწყობებზე რას იტყვით?

– გადამწყვეტი არჩევნება, მაგრამ რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, არავითარი წინასაარჩევნო განწყობა არ იგრძნობა არსად. ერთადერთი, „ქართული ოცნება“ დადის და თავის კანდიდატებს წარადგენს. ოპოზიცია ტელესტუდიებიდან თუ აქტიურობს. საველე სამუშაო, ხალხში გასვლა თითქოს დაივიწყა ოპოზიციამ. ადგილობრივი არჩევნები ეს ის არჩევნებია, სადაც მთელი დატვირთვა რეგიონებზე მოდის, მაგრამ რატომღაც ოპოზიციამ რეგიონები დაივიწყა. მათი აქტიურობა არ იგრძნობა.

– სააკაშვილის ჩართულობამ შეიძლება რამე შეცვალოს? კალაძე აცხადებს, რომ ელოდება.

– ასეთ მშვიდ ვითარებაში, როდესაც არაფერი, არავითარი პოლიტიკური პროცესი არ იგრძნობა, არა მგონია სააკაშვილი ჩამოვიდეს. სააკაშვილი თუ ჩამოვა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქნება სათანადოდ პოლიტიკური ფონი. მასობრივი გამოსვლები ასი და ორასი კაცის მონაწილეობით კი არა, ათასების მონაწილეობით.

მე პირადად სააკაშვილის ჩამოსვლას თეორიულად ვვარაუდობ იმ შემთხვევაში, თუ არჩევნები აშკარად გაყალბდება და თითოეულ ადამიანს ექნება განცდა, რომ მას არჩევანი გაუყალბეს. იმ შემთხვევაში ჩამოვა, თუ არჩევნების გაყალბებას მასობრივი სახალხო პროტესტი მოჰყვება ქუჩებში. ჩამოვა და სათავეში ჩაუდგება პროცესს. თუმცა, ეს მხოლოდ ჰიპოთეზაა და მეტი არაფერი.

„საერთოდ ამ არჩევნებში გახარიას უშუალო ჩართვაც სიურპრიზის ნაწილად შეიძლება მოვიაზროთ. მართლაც საინტერესოა გახარიას პროცენტული შედეგი“

თუმცა, ვნახოთ, როგორ განვითარდება თუნდაც არჩევნების მოახლოებისას პროცესები. იქნება რაიმე ისეთი გაუთვალისწინებელი მოხდეს, რამაც შეიძლება ახლა მდორედ მიმდინარე პროცესების ესკალაცია გამოიწვიოს. უბრალო, მიმდინარე წინასაარჩევნო პერიოდში სააკაშვილი, გამორიცხულია, რომ ჩამოვიდეს. თუ ჩამოვა, პატიმრობა გარანტირებული აქვს. მაშინ გამოდის, ჩამოდის ციხეში წასასვლელად.

– გამორიცხავთ, რომ ციხეში წავიდეს?

– გამოვრიცხავ. რატომ წავა?! ისეთი სიტუაციაც არ არის, რომ სააკაშვილი ციხეში ააღელვებს დანარჩენ მსოფლიოს. მსოფლიოს ახლა სხვა პრობლემა აქვს. დიდი პროტესტი ამას არ მოჰყვება დასავლეთის მხრიდან. ახლა უბრალოდ ამისთვის არ სცალია არავის. დღეს ეს სიტუაცია არ არის. ხელისუფლებაც მშვიდად იტყვის, სასამართლოში იმართლოს თავი ნებისმიერი წამყვანი ევროპელი თუ ამერიკელი ადვოკატებისა და უფლებადამცველების მეშვეობითო.

როგორც აღვნიშნე, ერთადერთი, რასაც არ გამოვრიცხავ, ის არის, რომ მასობრივი მღელვარების შემთხვევაში მართლაც ჩამოვიდეს. ამ ფონზე კი მისი დაკავებაც სხვა ელფერს შეიძენს. მერე კი უკვე შეიძლება მასობრივ სახალხო პროტესტს ჩაუდგეს სათავეში. ასეთი ფაქტები ახსოვს პოლიტიკის ისტორიას, როდესაც ლიდერები ციხეში მიდიოდნენ, რომ იქიდან გმირებად გამოსულიყვნენ.

– ეს შეიძლება მიზანი იყოს?

– ვერაფერს გეტყვით. თუმცა, არაფერია გამორიცხული.

– არჩევნების წინ რაიმე პოლიტიკური სიურპრიზი არის მოსალოდნელი, რადგან მართლაც მნიშვნელოვანი არჩევნებია?

– სიურპრიზი იქნება მხოლოდ გახარიას შედეგები. საერთოდ ამ არჩევნებში გახარიას უშუალო ჩართვაც სიურპრიზის ნაწილად შეიძლება მოვიაზროთ. მართლაც საინტერესოა გახარიას პროცენტული შედეგი. გახარიას დღეს ჩუმი მხარდამჭერები ჰყავს. ისინი არ გამოდიან ქუჩაში და პროტესტს, მანიფესტაციებს, მიტინგებს არ აწყობენ. ჩუმად არიან. ამომრჩევლის ეს ნაწილი, როდესაც მივა საარჩევნო ურნებთან და პირისპირ დარჩებიან ბიულეტენებთან, მაშინ იტყვიან თავიანთ სათქმელს.

რაც შეეხება დანარჩენ სიურპრიზსს, რომელსაც შეეძლება დიდი პოლიტიკური პროცესების გამოწვევა, თუნდაც ისეთის, როგორც, მაგალითად, 2012 წლის არჩევნების წინა ღამეს, მე ასეთს არაფერს არ ველოდები. ვნახოთ, მაინც დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

კიდევ ერთი, საშემოდგომო სესია იხსნება და საინტერესოა, რა დათმობაზე შეიძლება წავიდეს „ოცნება“. დათმობს იმ პუნქტებს ან შეასრულებს იმ ჩანაწერს, რაც მიშელის დოკუმენტშია. ეს ერთგვარი გზავნილიც შეიძლება იყოს, თუ რისთვის არის მზად დღეს ხელისუფლება. რა დათმობისთვის შეიძლება ის სამომავლოდ ემზადებოდეს. ამის ამოკითხვა შეგვეძლება.

„ქართველებმა მურვან ყრუს მოუგეს და „ოცნება“ ვინ არის?!“

დავით კირკიტაძე: „ხომ დატოვეს მიშელის დოკუმენტი, რატომ უბრუნდებიან ამნისტიის კანონს?!“

იაგო ნაცვლიშვილი

იმ ფონზე, როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ შარლ მიშელის შეთანხმების ანულირება მოახდინა, ისინი ამნისტიის კანონპროექტზე მიბრუნებას აპირებენ და მესამე მოსმენით კენჭისყრას. როგორც იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ ანრი ოხანაშვილმა თქვა, გამოჩნდება, „ნაციონალური მოძრაობის“ დოკუმენტზე შეერთება ფარსია თუ საქმეზეა ორიენტირებული.

რას აპირებს „ნაციონალური მოძრაობა“, როგორ უნდა გავიგოთ „ოცნების“ ეს ნაბიჯი და ხომ არ უნდა ველოდოთ საკონსტიტუციო ცვლილებების ჩავარდნას და ვადამდელის დანიშვნას, რათა ის ძველი სისტემით ჩატარდეს? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ენმ-ის ერთ-ერთი ლიდერი **დავით კირკიტაძე** საუბრობს.

– „ოცნება“ უბრუნდება ამნისტიის კანონის განხილვას. ეს ნიშნავს იმას თუ არა, რომ ამ ნაბიჯით ისევ ძალაში ტოვებენ შარლ მიშელის შეთანხმებას?

– არა, სხვა კუთხიდან მინდა შეგახედოთ. ისინი შარლ მიშელის შეთანხმებიდან გავიდნენ და როდესაც ამნისტიაზე აკეთებდნენ აქცენტს, ყოველთვის ამბობდნენ, რომ მათ არ სჭირდებათ ამნისტია, უბრალოდ, იძულებულნი იყვნენ, რომ ეს შეთანხმება შეესრულებინათ. ახლა ხომ გასულები არიან ამ შეთანხმებიდან და რატომ დააბრუნეს ამნისტია?!

– ზუსტად ეს ვიკითხე მეც.

– ეს არის ერთი დიდი ფარსი და ტყუილი. ეს ამნისტია თავიდან ბოლომდე მათი ინტერესი იყო და მათ სურდათ, რომ ის სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც ჩაიდინეს 20 ივნისის დაზარალებულების წინააღმდეგ და ქართული საზოგადოების წინააღმდეგ, ამ ამნისტიით მოახდინონ რეაბილიტირება და მათი პასუხისმგებლობა აირიდონ. ეს ხომ კარგად გამოჩნდა ქართული საზოგადოებისთვის?! თქვენთვის ან ნებისმიერი სხვისთვის, ვისაც აქამდე კითხვის ნიშანი ჰქონდა, ხომ ნათელი გახდა, ვის ინტერესშიც იყო ამნისტია.

რატომ ააქტიურებენ მას? ოპოზიცია ვიძახით, რომ ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანი არ არის და საერთაშორისო ორგანიზაციებიც ამაზე არაფერს აღარ ამბობენ.

– გამოცდას ვუწყობთ „ნაციონალურ მოძრაობასო“, დაახლოებით ასე ყღერდა მათი განცხადება.

– გამოცდის მოწყობა მაგათი საქმე არ არის. ეგენი ხელისუფლებაში არიან და საქართველოს მოქალაქეებს უამრავი პრობლემა აქვთ, რომლის მოგვარებაზეც პასუხისმგებლობა აიღეს, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდნენ. გამოცდის მოწყობა რა, გამომცდელები არიან ეგენი?! მაგრამ, დღეს საქართველოს ყველა მოქალაქე დარწმუნდება ერთ რამეში, რომ ამნისტია დასჭირდებათ მათ იმიტომ, რომ თავისი დანაშაულებრივი კვალი რამენაირად წაშალონ. ამას მაინც ვერ მოახერხებენ, ეს გამორიცხულია.

ადრე თუ გვიან საქართველოს მოქალაქეები მათ დააკისრებენ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას და ის სისხლის სამართლის დამნაშავეები, ვინც თვალები დათხარა და უკანონო ბრძანება გასცა და მერე ეს დავალებები აღასრულა, მათ მოუწევთ ამ პასუხისმგებლობების აღება.

ტყუილს მოკლე ფეხები აქვს და გამოვლინდა, ვის ინტერესებში ყოფილა ამნისტია.

– თქვენ არ ჩაერთვებით მის განხილვაში?

– ჩვენი პოზიცია ამნისტიასთან დაკავშირებით დღესაც ცნობილია როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გარეთ. უბრალოდ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ამნისტია მთლიანად „ქართული ოცნების“ მიერ იყო თავს მოხვეული და მხოლოდ მის ინტერესშია და სხვისი არავის.

– ფარსია მათი შეერთება შარლ მიშელის დოკუმენტზეო და თუ რეალურად უნდათ მასზე შეერთება, ეს ახლა გამოჩნდებაო. ამაზე რა პასუხი გაქვთ?

– პასუხი მარტივია ყველა შეკითხვაზე – ტყუილს მოკლე ფეხები აქვს. საქართველოს მოქალაქეები კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ ერთ რამეში, რომ თუ „ოცნება“ დაუბრუნდება დოკუმენტს და საზოგადოებისთვის თავს მოხვევას, ნათელია, რომ ეს ამნისტია მხოლოდ მის ინტერესებშია და მეტი არავისი.

– მაშინ რა იყო თქვენი მოტივაცია, როდესაც ამ დოკუმენტს შეუერთდით?

– ამნისტიის ნაწილის გამოკლებით, ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ დოკუმენტის სულისკვეთებას. მიგვაჩნია, რომ ეს არის ჩვენი ქვეყნისთვის პროგრესული დოკუმენტი, რომლის აღსრულებაც ქვეყნის კეთილდღეობასა და წინსვლას შეუწყობს ხელს, მაგრამ პრობლემური იყო და დღესაც რჩება ამნისტიის ნაწილი, რომელიც არავის არაფერში არ სჭირდებოდა. ამის მიზანია, რომ ერთმანეთს გაუთანაბრონ მოძალადეები და დაზარალებულები.

„საკუთარ სკამებზე ჩაბღაუჭებულ ძალასთან გვაქვს საქმე, ამიტომ მათგან ყველაფერი მოსალოდნელია“

– ამის პარალელურად საკონსტიტუციო განხილვებიც მიმდინარეობს და შეთანხმება არ ჩანს. ასეთი ვარაუდიც არის, რომ „ოცნება“ ამ ცვლილებებს ჩააგდებს, რაც ვადამდელი არჩევნებისთვის აწყობს, რათა ძველი სისტემით ჩატარდეს არჩევნები. როგორ შეუშლით ამას ხელს?

– „ოცნებისგან“ არაფერი მოულოდნელი არ იქნება. ხომ დავრწმუნდით, რომ ისინი ნაბიჯებს დგამენ არა საქართველოს მოქალაქის ინტერესის გათვალისწინებით, არა ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის გათვალისწინებით, არამედ იმისათვის, რომ შეინარჩუნონ საკუთარი სკამები. საკუთარ სკამებზე ჩაბღაუჭებულ ძალასთან გვაქვს საქმე, ამიტომ მათგან ყველაფერი მოსალოდნელია. თუმცა, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი საზოგადოება ამ ყველაფერს პასუხს გასცემს 2 ოქტომბრის არჩევნებზე. პასუხი იქნება ისეთი, რომ ვერანაირი მაქინაციებით და ვეღარანაირი თვალთმაქცობით „ოცნება“ ვერ მოახერხებს შეინარჩუნოს ძალაუფლება.

– კი ბატონო, ვთქვათ, ხალხმა გასცა პასუხი ამ არჩევნებზე, მაგრამ ეს საკმარისია?

– მოვიდეს არჩევნებზე 2.5 მილიონი ადამიანი და გარწმუნებთ, რომ „ოცნება“ გაქრება, როგორც შარშანდელი თოვლი.

– წარმოვიდგინოთ ვითარება, რომ ოქტომბრის არჩევნებზე პასუხი გასცა ამომრჩეველმა, მაგრამ ჩააგდეს საკონსტიტუციო ცვლილებები და როგორც თქვენ უწოდებთ, მაქინაციების შედეგად შეინარჩუნეს მაინც ძალაუფლება საპარლამენტო არჩევნების დროს. მაშინ რას აპირებთ?

– ვერანაირი მაქინაციებით, ვერანაირი ცვლილებებით, ვერანაირი ხრიკებით ვერ მოერევა ვერც ერთი ხელისუფლება ხალხს. ხალხთან ბრძოლა, რომელიც გაჩაღებული აქვს „ოცნებას“, აუცილებლად ხალხის გამარჯვებით დასრულდება.

– რა გაძლევთ ამის თქმის საშუალებას მთელი ამ წლების გათვალისწინებით?

– წარსულის გამოცდილება, ნდობა ქართული საზოგადოების და მისი განჭვრეტობადობის მიმართ. გარწმუნებთ, რომ ხალხის ძალას ვერავინ ვერ აღუდგება წინ.

– ზედმეტად ოპტიმისტურად ხომ არ ხართ განწყობილი?

– არა, ამის საფუძველს მაძლევს ჩვენი ქვეყნის უახლოეს ისტორიაში ქართველი ხალხის მიერ გადადგმული ნაბიჯები.

– ფაქტია, „ოცნებას“ ვერც ერთი ბრძოლა ვერ მოუგო ვერც ოპოზიციამ და ვერც ხალხმა.

– ქართველმა ხალხმა შეძლო და ჩვენი სახელმწიფოებრიობა აქამდე მოიტანა. ჩვენ ჯალალ ედ-დინს, მურვან ყრუს და კომუნისტურ რეჟიმს მოვუგეთ და „ქართული ოცნება“ ვინ არის?! ძალიან მალე „ქართული ოცნებისა“ და ქართველი ხალხის ბრძოლა, ქართველი ხალხის გამარჯვებით დამთავრდება.

– მე ასე ოპტიმისტურად ვერ ვუყურებ პროცესებს. ვნახოთ.

– დამერწმუნეთ, ასე იქნება. დამიჯერეთ და მენდეთ ამ საკითხში.

კორონავირუსს 15 წლის მოზარდი ემსხვერპლა

კორონავირუსს 15 წლის მოზარდი ემსხვერპლა, რომელიც მკურნალობას ციციშვილის კლინიკაში გადიოდა.

– პაციენტი 5 სექტემბერს გარდაიცვალა. შემოვიდა 1-ელში. ის კლინიკაში შემოსვლიდან იყო ჟანგბადდამოკიდებული. ჰქონდა თანხმლები დაავადებები: ჰიდროცეფალია, რაზეც ოპერაცია ჩაუტარდა, ასევე ფსიქომოტორული სფეროს დარღვევა, ცერებრალური დაბლა, ჭარბწონიანობა. თავდაპირველად ფილტვის დაზიანება იყო 13-ქულიანი, რაც შემდეგ კიდევ უფრო დამძიმდა, – განაცხადა კლინიკის სამედიცინო დირექტორმა მაია ჩხაიძემ.

შოთა მალაშხია: „ოპოზიციამ არ უნდა დაუშვას, რომ „ოცნებამ“ და გახარიამ ერთმანეთში პინგ-პონგი ითამაშონ“

„ოცნების“, გახარიას და „პატრიოტთა ალიანსის“ შემდგომი მოქმედებები რუსეთის მითითებებზე იქნება დამოკიდებული“

მარიამ მჭედლიშვილი

წინასაარჩევნოდ ქვეყანაში შექმნილ მძიმე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ჯანდაცვის მდგომარეობაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს, შოთა მალაშხიას.

– ხელისუფლება ამბობს, რომ ეკონომიკას არ კეტავს. სხვა შეზღუდვებს რომ თავი დავანებოთ, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერება არ აბრკოლებს ეკონომიკურ აქტივობას? ტრანსპორტი ვაქცინაციისთვისაც საჭიროა.

– საზოგადოებრივი ტრანსპორტი თუ ჩერდება, ეს სულ ბოლოს უნდა მოხდეს. ის, რაც ახლა ხდება, არ არის გონივრული მოქმედებების შედეგი. ამ ხელისუფლებისგან რაიმეს განჭვრეტა და სწორად დაგეგმვა დამახასიათებელი არ არის. სულ იმას ვამბობ, რომ არ მოემზადნენ და პირველი ლოკდაუნი არ გამოიყენეს არც საწოლფონდის ნორმალურად ფუნციონირებისთვის და არც სხვა რამისთვის. დღეს კატასტროფული მდგომარეობა გვაქვს. დღეღამეში დახოცილთა რაოდენობა ლამის 90-ს უახლოვდება. აღმოჩნდა, რომ მედიკამენტების ნაკლებობაცაა. ამაზე ადრე არ უნდა ეზრუნათ? რაც თვითონ სჭირდებათ, იმაზე წინასწარ მშვენივრად ზრუნავენ და რაც მათ ამდიდრებს, იმას ამარაგებენ. მაგალითად, მობილურების სპეცტექნიკას. ესენი პროფესიონალები არიან იქ, სადაც ფული „ტყდება“. ხალხზე რომ არ ფიქრობენ, ცხადზე ცხადია. უტრანსპორტობა ადამიანებს ლუკმაპურსაც ართმევს. ისე, ეკონომიკაზე ლაპარაკი ზედმეტია. სადღაა ეკონომიკა?

– მთავრობა ეკონომიკურ ზრდაზე მუდმივად საუბრობს.

– ამაზე უარესი მდგომარეობა ბოლო 30 წელიწადია არ გვქონია. ვინ გაიხარა ამ ეკონომიკური „დუღილით“? ხალხზე ვამბობ, თორემ, პატარა ჯგუფი მდიდრდება.

– ევროკავშირის შეღავათიანი კრედიტის არაღებაც იმით ახსნეს, რომ ეკონომიკაში უკეთესი მდგომარეობაა.

– ეს დასწრება იყო. ცნობილია, რომ ევროკავშირმა თქვა უარი ამ ფულის გამოყოფაზე. ამათ ერთი დღით დაასწრეს. ევროკავშირის დახმარება, ნებისმიერი კრედიტი უფრო ფართო მნიშვნელობისაა, ვიდრე უბრალოდ თანხა. მას თან ახლავს გარანტიები. ევროკავშირის სესხი არის მაჩვენებელი ინვესტორებისათვის. ინვესტორი ხედება, რომ ასეთ ქვეყანაში ყველაფერი ნორმალურადაა. „მკვახე იყო ის ყურძენი და მომკვეთდა კბილებსა“-ო, ასეთი განმარტებები აქვს ხელისუფლებას. მთავრობას ფანტაზიაც არ ყოფნის, რომ ხალხს ახალი რაღაც უთხრას. ღარიბაშვილი მეშახტეებსაც ტურიზმზე ელაპარაკა და რუსთავის მცხოვრებლებსაც. შეიძლება მარტო ტურიზმზე ილაპარაკო? აზროვნებაც ღარიბი აქვთ.

– სხვა თემებსაც შევეხოთ. როგორ აფასებთ ნაციონალური მოძრაობის გადაწყვეტილებას, შეუერთდეს ე. წ. მიშელის დოკუმენტს? ამერიკელმა სენატორმა ჯიმ რიშმა ამას დაგვიანებული უწოდა.

– ჩემი პოზიცია თავიდანვე ასეთი იყო – მიშელის დოკუმენტს უნდა მიერთებოდნენ, პარლამენტში კი მანამდე არ შესულიყვნენ, სანამ ადგილობრივ არჩევნებში ხელშესახებ შედეგს არ დადებდნენ. რაც მოხდა, მოხდა. ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

– თბილისის მერის არჩევნებში გიორგი გახარიაც მონაწილეობს. ამას როგორ უყურებთ?

– ეს რუსების გეგმაში შედის. ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნების დროს ამათმა პატრონებმა რუსეთში დაასკვნეს, რომ „ქართული ოცნება“ ვერ ქაჩავს და მასზე „სტავკას“ ვერ გააკეთებენ. გადაწყდა დიფერენცირება. მოიფიქრეს, რომ გახარია შექმნიდა პარტიას, სადაც გადავიდოდნენ განაწყენებული „ქოცები“. ასევე გადაწყდა, რომ „პატრიოტთა ალიანსს“ ჩანაცვლებდა ლევან ვასაძე. ვასაძეს პრობლემები შეექმნა. ის არჩევნებში არ მონაწილეობს. ამის გამო დააბრუნეს „პატრიოტთა ალიანსი“. გახარიას გაპიარებაც მიმდინარეობს. ის მერად კენჭს იყრის იმიტომ, რომ ხალხს ბრძოლის შთაბეჭდილება დარჩეს. არ ვიცით, რა მოხდება არჩევნების შემდეგ. „ოცნების“, გახარიას და „პატრიოტთა ალიანსის“ შემდგომი მოქმედებები რუსეთის მითითებებზე იქნება დამოკიდებული. „ქართული ოცნება“ მიშელის დოკუმენტიდან გამოვიდა და ალბათ, 43%-ს თუ ვერ მიაღწია, ვადამდელ არჩევნებზე არ იფიქრებს.

– დასავლეთი მიშელის დოკუმენტს საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან გამომდინარე განიხილავს და დოკუმენტიდან რომელიმე მონაწილის ცალმხრივად გასვლას დარღვევად თვლის.

– ხელისუფლება რუსულ ნარატივს მისდევს. რასაკვირველია, მოსახლეობას და დასავლეთს ამაზე თავისი აზრი აქვს. არავის უნდა, რომ რუსეთის გუბერნია გავხდეთ. კარგი იქნება, თუ ყველანი მოვახდენთ ზეწოლას და ყველას შევასრულებინებთ ამ შეთანხმებას. სესხიც ხომ ამიტომ შეჩერდა, რომ „ოცნება“ პირობებს არღვევს! აშშ და მასთან ერთად ევროკავშირი, ალბათ, მოითხოვენ დოკუმენტის შესრულებას. მათ შორის, სასამართლო რეფორმას. ეს არჩევნები იქნება წყალგამყოფი.

– დასავლეთი მოახლოებული არჩევნების დეტალურ მონიტორინგსაც აპირებს.

– კარგი იქნება თუ „ოცნებას“ არჩევნებს არ გავაყალბებინებთ. წინა არჩევნებზე დასავლეთში „ოცნებას“ უთხრეს, ლეგიტიმაციის ზღვარზე ხართო. იგივე და უარესი თუ ჩაიდინეს, ეს ხელისუფლება ძალიან ცუდ დღეში ჩავარდება. დაისმება მისი ლეგიტიმაციის საკითხი.

– გახარია ხმებს კალაძეს წაართმევს?

– გახარიასთან არიან განაწყენებული ქოცები. ის ნეიტრალურ ხმებს ვერ დაიმატებს. გახარია ისე გააქტიურდა პოლიტიკაში, რომ არ გაუცია პასუხები დაგროვილ შეკითხვებზე. მაგალითად, რატომ დასთხარა ბავშვებს თვალები? რატომ მიიყვანა სიკვდილამდე ზუგდიდელი სკოლის დირექტორი ია კერძაია? როცა კორუფციას ბუნდოვნად ახსენებს, თქვას, თვითონ სად იყო და რას აკეთებდა? გახარიას პარტიიდან მარტო ის ისმის, რომ ვიღაცა მათგან წავიდა და ვიღაცა დააშინეს. არ ვართ დარწმუნებული, რომ ეს ფეიკნიუსები არაა. ამ საკითხებზე ხმაურს, ჯობია, გასცეს პასუხი შეკითხვებს. ოპოზიციას უნდა ჰქონდეს საკუთარი სტრატეგია და დღის წესრიგი. ოპოზიცია ამათ თამაშებს კი არ უნდა უყურებდეს, უნდა იმოქმედოს. ოპოზიციამ არ უნდა დაუშვას, რომ „ოცნებამ“ და გახარიამ ერთმანეთში პინგ-პონგი ითამაშონ.

ირაკლი ღარიბაშვილი: „ძალიან დიდი სურვილი მაქვს, ჩამოვიდეს სააკაშვილი, კარგად გავერთობით“

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მიხეილ სააკაშვილის საქართველოში შესაძლო ჩამოსვლას გამოეხმაურა.

– ძალიან დიდი სურვილი მაქვს, ჩამოვიდეს ბატონი სააკაშვილი, გავერთობით ძალიან კარგად, მე მას შევპირდი, რომ დავახვედრებ ჰალსტუხების ძალიან ლამაზ კოლექციას და შევაბრძანებ ციხეში, გარემონტებულ ციხეში, სხვათა შორის, ეს არის სააკაშვილის ბედი....

კიდევ ერთი მინდა ვთქვა, კაცი, რომელმაც გვაჩვენა სიმხდალის და ლაჩრობის უდიდესი მწვერვალი, ამის იქით რომ არაფერი არსებობს, ომის დროს მიატოვა ჯარისკაცები, სტუმარი კაცი ჰყავდა, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, მიაგდო, მიატოვა ყველა და მიწაზე იფორთხიალა, თქვენ გახსოვთ მერე ცნობილი კადრები უკრაინაში, როგორ ათრიეს თმებით, ასე რომ, ნებისმიერი მისი ეს რაღაც სულელური პროვოკაცია მხოლოდ ღიმილს იწვევს ჩვენში.

თუ ჩამოსვლა უნდა, ჩამოვიდეს, რატომ ვერ ჩამოდის, 8 წელი გავიდა, 9 წელი გავიდა, რატომ ვერ ჩამოდის, როგორ ფიქრობთ? იმიტომ, რომ კურდღელია, ლაჩარია, მშიშარა კაცია, – თქვა ღარიბაშვილმა.

„მირჩევნია, ღიად დავაფიქსირო, რომ ჩემი შარდი არ არის სუფთა“

– ხალხო, თუ კითხვები არსებობს ჩემი შარდის შესახებ, მირჩევნია ღიად დავაფიქსირო, რომ არ არის სუფთა.

ამის შესახებ „გირჩის“ დეპუტატმა იაგო ხვიჩიამ განაცხადა, რითაც გამოეხმაურა კახა კალაძის მიერ ნარკოტესტის გავლას და მის მოწოდებას, ყველა კანდიდატმა იგივე გააკეთოს.

ხვიჩია მიიჩნევს, რომ უხერხულია, როცა კალაძეს და სხვებს სადღაც უწევთ კოლბებით სიარული.

– მე მგონია, რომ ზოგადად ეს წესი ძალიან უხერხული წესია და ძალიან მეუხერხულება, როცა კახა კალაძეს ჩვენ, სახელმწიფო სისტემა ვაგზავნით სადღაც შარდის ჩასაბარებლად. ასევე, მეუხერხულება ეს, როცა ჩემს თავს ეხება ან სხვას, ამიტომ ყოველთვის ღიად ვაცხადებ – ხალხო, თუ კითხვები არსებობს ჩემი შარდის შესახებ, მირჩევნია ღიად დავაფიქსირო, რომ არ არის სუფთა, ვიდრე ვიარო სადღაც კოლბებით ჩასაბარებლად.

ასე ერთმანეთს არ უნდა მოვექცეთ პოლიტიკოსები, ეს არაფერ შუაშია, ვინ რომელ თანამდებობაზე იმუშავებს მომავალში, – განაცხადა ხვიჩიამ.

111 წლის ლეონილა გვაჯავამ, რომელმაც კოვიდ 19 დაამარცხა, კლინიკა დატოვა

გუშინ, 6 სექტემბერს, რესპუბლიკური საავადმყოფო 111 წლის ქალმა კოვიდინფექციის დამარცხების შემდეგ დატოვა.

111 წლის ქალი დაახლოებით 10 დღე გადიოდა მკურნალობას. ის კლინიკაში დაინფიცირებისთანავე შეიყვანეს.

პაციენტი ლეონილა გვაჯავა თავის 80 წლის შვილთან გურამ ქვარცხავასთან ერთად გადიოდა მკურნალობას.

– ძალიან კარგად ვგრძნობ თავს, – ამის შესახებ მან კლინიკიდან გამოწერის შემდეგ მედიასთან განაცხადა.

როგორც მედიკოსები აცხადებენ, 111 წლის პაციენტი საკმაოდ ემორჩილებოდა ექიმების მითითებებს, მან სრულად გაიარა მკურნალობის კურსი.

რესპუბლიკურ საავადმყოფოში რჩება მისი 80 წლის შვილი. საავადმყოფოს ინფორმაციით, ის გუშინ უნდა გამოეწერათ, თუმცა, შესაძლოა, ის დღეს ვიხილოთ გამოწერილთა სიაში.

საქართველოში მე-5 ტალღა იქნება, მაგრამ ისეთი მძიმე არა, როგორიც მე-3 და მე-4 ტალღა იყო

ინფექციური საავადმყოფოს დირექტორის თენგიზ ცერცვაძის თქმით, საქართველოში მე-5 ტალღა იქნება, მაგრამ არ იქნება ისეთი მძიმე, როგორიც მე-3 და მე-4 ტალღა იყო.

თენგიზ ცერცვაძის თქმით, ეპიდვითარების ყველაზე მძიმე დღეები უკვე გადავიტანეთ.

– მე-5 ტალღა საქართველოში ალბათ იქნება, იმიტომ, რომ მთელ მსოფლიოში იქნება, მაგრამ არ მგონია იყოს მძიმე. მე მაინც მგონია, რომ ყველაზე მძიმე დღეები უკვე გადავიტანეთ. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის, რომ წამოგვეწევა ვაქცინაცია. სანამ მე-5 ტალღა იქნება, სრულად ვაქცინირებულთა რაოდენობა იქნება მეტი, ეს არის ერთ-ერთი დამცავი ბარიერი, რომ ჩვენთან მე-5 ტალღა იყოს შედარებით რბილი.

ასევე ის, რომ საზოგადოებამ სერიოზული გამოცდილება მიიღო მე-4 ტალღის დროს, სიცოცხლის ძალიან დიდი დანაკარგები გვქონდა და მეტად გავუფრთხილდებით ერთმანეთს.

მედიცინა მუდმივ პროგრესშია, ჩნდება ახალ-ახალი მედიკამენტები, მთავრდება ზოგიერთი მედიკამენტის კლინიკური კვლევა, რომელიც ეფექტურია უფრო მეტად, ვიდრე დღეს არსებული და საქართველო იქნება გპირდებით ერთ-ერთი პირველი, რომელიც შემოიტანს და ესეც გააუმჯობესებს გამოსავალს.

ყველაფერი ეს მაფიქრებინებს, რომ პროგნოზი არის საიმედო, რათა ვიყოთ იმედიანად. მე-5 ტალღა იქნება, მაგრამ არა ისეთი, როგორიც მე-3 და მე-4 ტალღა, – განაცხადა ცერცვაძემ.

ტიკარაძე: „ტრანსპორტის გახსნას მხარს დავუჭერთ“

ჯანდაცვის მინისტრის, ეკატერინე ტიკარაძის განცხადებით, ჯანდაცვის სამინისტრო ტრანსპორტის მოძრაობის აღდგენას, სავარაუდოდ, მხარს დაუჭერს.

– დიახ, ჩვენ, სავარაუდოდ, მხარს დავუჭერთ ტრანსპორტის გახსნას, როგორც ამას მოქალაქეებს დავპირდით, იმისთვის, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვისთვის მათ გადაადგილება შეძლონ.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ ხვალ მოვისმენთ შრომითი ინსპექციის მხრიდან იმ ეფექტური ღონისძიებების შესახებ, რომლებიც შეიძლება გატარდეს სატრანსპორტო საშუალებებში, რათა იქ არ მოხდეს გაზრდილი მობილობის შედეგად ინფექციის გავრცელება და არ დავუბრუნდეთ იმ საწყისს, საკმაოდ ცუდ ნიშნულს, რომელზეც ვიყავით, – განაცხადა ტიკარაძემ „რუსთავის 2“-ის ეთერში.

შეგახსენებთ, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობაზე დაწესებული შეზღუდვა 13 სექტემბრამდეა გახანგრძლივებული.

მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და ავთანდილ წერეთლის სასამართლო პროცესები განახლდა

ე.წ. ფულის გათეთრების საქმეზე მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და ავთანდილ წერეთლის სასამართლო პროცესები განახლდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოში მოწმის სახით ჩვენება შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის მთავარმა აუდიტორმა გიორგი ბარამიძემ მისცა. როგორც პროცესის დაწყებამდე „ტვ პირველის“ გენერალურმა დირექტორმა ვატო წერეთელმა განაცხადა, პროცესები დაჩქარებული წესით ტარდება.

– ვუახლოვდებით რეფერენდუმის დღეს, რამდენიმე კვირა დარჩა, ამიტომაც ჩემი ოჯახის სასამართლო განახლდა და იქნება დაჩქარებული წესით. არა მხოლოდ ჩემი ოჯახის წევრების სასამართლო, კრიტიკული მედიის ოჯახის წევრებზე, მედიამენეჯერებზე განახლდა სხდომები და დარწმუნებული ვარ, დაჩქარებული წესით იქნება. დასავლეთი, ევროპა სასამართლოს ეუბნება, ნუ სხედხართ გამომპალ „მოსკვიჩზე“, დაგეხმარები, რომ „მერსედესზე“ გადაგსვაო, მაგრამ ხელისუფლებამ ტანზე შემოიხია, გამომპალი სისტემა უნდა, უნდა, რომ მურუსიძე „ჯოისტოკზე“ ჰყავდეთ, ამიტომაც ხდება ეს, არანაირი დახმარება არ უნდათ, რადგან უნდათ, რომ გამომპალ „მოსკვიჩზე“ ისხდნენ და როგორც უნდათ, ისე ჰყავდეთ სასამართლო“– განაცხადა წერეთელმა.

მამუკა ხაზარაძეს და ბადრი ჯაფარიძეს ბრალი 2019 წლის 24 ივლისს წარედგინათ, ჯგუფურად 16.664.000 ამერიკული დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით). ავთანდილ წერეთელს პროკურატურა ბადრი ჯაფარიძისთვის და მამუკა ხაზარაძისთვის უკანონო შემოსავლების ლეგალიზებაში დახმარებას ედავება.

„ავთანდილ გალდავა ლაშა დოლაბერიძეს დაჭერით ემუქრებოდა, თუ ის ქვეყანას არ დატოვებდა“

ბათუმელი დოლაბერიძეების ოჯახი შსს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორს – ავთანდილ გალდავას შანტაჟში, მუქარასა და უფლებამოსილების გადაჭარბებაში ადანაშაულებს. უფლებადამცველ ზაზა პაპიძის განცხადებით, ლაშა დოლაბერიძეს ავთანდილ გალდავა დაემუქრა, რომ „გაუჩალიჩებდა“, თუკი ის ქვეყანა არ დატოვებდა. მუქარიდან ცოტა ხანში ხვიჩა დოლაბერიძე თბილისის პოლიციის დეპარტამენტის მეორე სამმართველოს პოლიციელებმა დააკავეს.

ადვოკატისა და ოჯახის მტკიცებით, დოლაბერიძეს განსაკუთრებული დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება „უპრენორფინი“ ჩაუდეს. აღსანიშნავია, რომ დოლაბერიძე იმ სამმართველოს პოლიციელებმა დააკავეს, რომელშიც ავთანდილ გალდავა წლების განმავლობაში მუშაობდა.

ოჯახის თქმით, ავთანდილ გალდავა ხვიჩა დოლაბერიძეს თანამშრომლობას სთხოვდა, რაზეც უარი მიიღო, ამის შემდეგ კი გადაემტერა.

პატიმარმა ტარიელ დვალმა გლდანის ციხეში თავის მოკვლა სცადა

გლდანის ციხეში, ე.წ. ქურდულ სამყაროსთან კავშირში დადანაშაულებულმა პატიმარმა თვითმკვლელობა სცადა. ტარიელ დვალმა ადვოკატის თანდასწრებით ბასრი საგანი, სავარაუდოდ კალამი, მუცელში რამდენჯერმე ჩაირტყა.

ინციდენტი გუშინ, 6 სექტემბერს, დღის 12:00 საათზე, მოხდა.

როგორც „პირველებს“ დაკავებულის ადვოკატმა უთხრა, პროტესტის უკიდურეს ფორმას პატიმარმა „სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილების“ შემდეგ მიმართა.

ადვოკატის თქმით, ინციდენტი მას შემდეგ მოხდა, რაც დვალმა გაიგო, რომ უზენაეს სასამართლოს ჯერ კიდევ არ მიუღია წარმოებაში პატიმრის საქმე.

ტარიელ დვალს ორი ინსტანციის სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა. პატიმარი კი საქმის გადახედვას უზენაეს სასამართლოში ითხოვს.

ნინო ლომჯარია: „დეკანოზ სპირიდონ ცქიფურიშვილისა და ზურაბ მახარაძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა დაიწყოს“

სახალხო დამცველი 5 ივლისს ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და ძალადობისკენ მოწოდების ფაქტებზე 2 პირის, ზურაბ მახარაძისა და მღვდლის, სპირიდონ ცქიფურიშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას მოითხოვს.

ამის შესახებ მან გუშინ, 6 სექტემბერს, გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

– „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახალხო დამცველი უფლებამოსილია, მოითხოვოს გამოძიების, ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, თუ საქმის განხილვის შედეგად მივა დასკვნამდე, რომ არსებობს დანაშაულის ნიშნები.

შესაბამისად, მე უკვე გამოვიყენე ორგანული კანონით მინიჭებული უფლებამოსილება და ზურაბ მახარაძისა და სპირიდონ ცქიფურიშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით პროკურატურას მივმართე.

დევნის დაწყების წინადადებას საფუძვლად დაედო საჯაროდ გავრცელებული ვიდეომასალები, რომლითაც დასტურდება, რომ 5 ივლისის ძალადობრივ მოვლენებამდე „ალტ-ინფოს“ ეთერით ზურაბ მახარაძე და სხვა პირები განუწყვეტლივ აანონსებდნენ ძალადობას „თბილისი პრაიდის“ მიერ დაგეგმილ ღონისძიებაში მონაწილე პირთა მიმართ.

ძალადობრივი მოწოდებები, ასევე, ისმოდა ჟურნალისტთა მიმართ. ამავე პირებმა სატელევიზიო ეთერით გაავრცელეს ინფორმაცია ჯგუფების შექმნის შესახებ, რომელთა პირდაპირი დანიშნულება 5 ივლისს ძალადობა იქნებოდა.

სახალხო დამცველის წინადადებაში დასაბუთებულია, რომ 5 ივლისს ზურაბ მახარაძე უშუალოდ ხელმძღვანელობდა ჯგუფურ ძალადობას, მათ შორის, საკანონმდებლო ორგანოს წინ დადგმული საპროტესტო კარვების გატანასა და „სირცხვილიასა“ და „თბილისი პრაიდის“ ოფისების დარბევის მიზნით სხვადასხვა ჯგუფების გამოყოფას.

საბოლოოდ, საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, 2021 წლის 5 ივლისის ჯგუფური ძალადობის ფაქტზე დაზარალებულად იქნა ცნობილი 53 პირი და სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 27 პირის მიმართ. თუმცა, ჯგუფური ძალადობის ორგანიზების ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნა არავის მიმართ არ დაწყებულა. გარდა ამისა, სახალხო დამცველმა კიდევ ერთი წინადადებით მიმართა გენერალურ პროკურატურას და ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდების ფაქტზე სპირიდონ ცქიფურიშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება მოითხოვა.

დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დადგინდა, რომ 5 ივლისს, დაახლოებით 14:14 საათზე, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენელმა დეკანოზმა სპირიდონ ცქიფურიშვილმა მიკროფონით, ხმის გამაძლიერებლების საშუალებით მოუწოდა მოქალაქეებს ძალადობისკენ, რითაც გასცდა გამოხატვის თავისუფლებას და ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 2391 მუხლით აკრძალული ქმედება – ძალადობის მოწოდება, რომელიც ქმნის ძალადობრივი ქმედების განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს. სახალხო დამცველი აგრძელებს ინფორმაციის მოპოვებას 5 ივლისის ძალადობასთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების ირგვლივ და საჭიროების შემთხვევაში, კვლავ გამოიყენებს ორგანული კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, – განაცხადა ნინო ლომჯარიამ.

ალექსანდრე დარახველიძე: „დეკანოზ სპირიდონისა და ზურაბ მახარაძისთვის ბრალდების წარსადგენად მტკიცებულებები არ არის“

– არ არის საქმეში საკმარისი მტკიცებულებები, რომ სახალხო დამცველის მიერ დასახელებული პირების მიმართ ბრალის წაყენება მოხდეს – ზურაბ მახარაძე იქნება თუ სხვა, თუკი იქნება შესაბამისი მტკიცებულებები, მოხდება რეაგირება.

ამის შესახებ გუშინ, 6 სექტემბერს, შს მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე დარახველიძემ ჟურნალისტებთან განაცხადა, რითაც 5-6 ივლისის მოვლენებზე სახალხო დამცველის განცხადებას გამოეხმაურა.

მისივე თქმით, პოლიტიკურ დაინტერესებაზე საუბარი გაუგებარია იმ ფონზე, როცა 31 ადამიანი არის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული და 12 სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეა აქტიურ გამოძიებაში.

– 5-6 ივლისის მოვლენებზე შსს აქტიურ გამოძიებას ახორციელებს 12 სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე და 31 პირი უკვე სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნა მიცემული. რაც შეეხება სახალხო დამცველის მიერ გაკეთებულ განცხადებას, პირის მიმართ რომ ბრალის წაყენების შესაძლებლობა დადგეს და მისი პასუხისგება მოხდეს, საჭიროა არსებობდეს საკმარისი მტკიცებულებები.

მე რამდენადაც გავეცანი სახალხო დამცველის განცხადებას, ის ეყრდნობა მხოლოდ საჯარო განცხადებებს და საჯარო ჩანაწერებს, სისხლის სამართლის მასალებზე მას წვდომა არ ჰქონია. შესაბამისად, პროკურორმა უნდა გადაწყვიტოს, რომ თუკი არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომ წაუყენოს პირს ბრალი, ბუნებრივია, მოხდება ბრალის წაყენება და შესაბამისი პროცედურების განხორციელება.

როგორც ჩემთვის ცნობილია, არ არის საქმეში საკმარისი მტკიცებულებები, რომ პირების მიმართ ბრალის წაყენება მოხდეს.

გაუგებარია პოლიტიკურ ნიშანზე საუბარი მაშინ, როცა 31 ადამიანი არის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული და 12 სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეა აქტიურ გამოძიებაში, მათ შორის, იმ პირებზე, რომლებზეც საუბრობენ, რომ სახელმწიფო არის მათ მიმართ შემწყნარებელი, მათ სახლებში ჩატარდა ჩხრეკა, არაერთი ნივთი იქნა ამოღებული, დანიშნულია ექსპერტიზები და მიმდინარეობს გამოძიება.

სახალხო დამცველის შესახებ ორგანულ კანონში წერია, რომ მას აქვს მხოლოდ დასრულებული სისხლის სამართლის საქმეებზე მასალების გაცნობის შესაძლებლობა, თუ განხორციელდება საკანონმდებლო ცვლილებები და მას ექნება შესაბამისი საპროცესო უფლებები, მოხდება მისთვის მასალების გაცნობა. 700-მდე ადამიანია გამოკითხული, არაერთი მტკიცებულებაა დამატებული საქმეში, გაჭიანურებას რას ეძახით, არ ვიცი, – განაცხადა დარახველიძემ.

მოკრივე ავთო ხურციძეს აშშ-ის ციხიდან 14 სექტემბერს გამოუშვებენ

„მზად ვარ კარიერის გასაგრძელებლად“

ქართველი მოკრივე, ექვსი საჩემპიონო ქამრის მფლობელი ავთანდილ ხურციძე ამერიკის შეერთებული შტატების საპატიმროს 14 სექტემბერს დატოვებს. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია ხურციძემ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა.

ხურციძის განცხადებით, მისი ვადაზე ადრე გათავისუფლება კარგი ყოფაქცევისა და დისციპლინის გამო მოხდა. მისივე ინფორმაციით, საპატიმროს დატოვების შემდეგ სპორტული კარიერის გაგრძელებას გეგმავს.

„მოგესალმებით გულშემატკივრებს, მეგობრებს, ნათესავებს. მინდა გაცნობოთ და გახაროთ, რომ 14 სექტემბერს აღირიცხება და აღინიშნება ჩემი თავისუფლების დღე.

თავისუფლება ზუსტად ისეთია, როგორიც გახლავართ მე, გამოვდივარ სრული მონდომებით და მომზადებით, რათა მივაღწიო აღნიშნული კარიერის დასასრულს, სულ რამდენიმე დარჩენილი ქამრის ხელში მოგდების შემთხვევაში და ამისთვის მქონდა მთელი ხუთწლიანი სამზადისი, ყველანაირი პირობა, რათა მომეხდინა ძალების შეგროვება ყველაზე ძლიერ ადგილზე, ფედერალურ საკანში. რაღა დაგიმალოთ და უკეთეს პირობებში, რაც კი მქონია სამშობლოში სპორტული მზადების დროს. ასე რომ, მე კმაყოფილი ვარ, ასეთ პირობებში მყოფი ავთანდილ ხურციძე და მზად ვარ კარიერის გასაგრძელებლად.

დიდი მადლობა ამერიკას დროულად გათავისუფლებისთვის და გათვალისწინებისთვის ამა თუ იმ საკითხის, ყოფაქცევით და დისციპლინის მადლობა შეფასებისთვის და დაღვრილი ოფლის დაფასებისთვის და აქვე დიდი მადლობა ჩემს ადვოკატს, ქალბატონ მეგანს და ბატონ კენის ბოლომდე გვერდით დგომისთვის“ – აცხადებს ავთანდილ ხურციძე.

2018 წლის სექტემბერში 41 წლის ავთანდილ ხურციძეს ბრუკლინში მოქმედი კრიმინალური ავტორიტეტის, რაჟდენ შულაიას დაჯგუფებასთან კავშირის გამო, რეკეტსა და თაღლითობასთან დაკავშირებულ საქმეზე, 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

ხურციძე სასჯელს დასავლეთ ვირჯინიის ციხეში იხდის.

თბილისში 1 პირი დაჭრეს

გუშინ, 6 სექტემბერს, თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში სროლა იყო. არსებული ინფორმაციით, შემთხვევის შედეგად დაჭრილია ერთი ადამიანი. დაშავებულს ჭრილობა ქვედა კიდურში აქვს მიყენებული. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე და 236-ე მუხლებით, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარებას გულისხმობს.

აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვისა და გადაზიდვის ფაქტზე 1 პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვისა და გადაზიდვის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებული შემდგომი გასაღების მიზნით, მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანით ახორციელებდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით უაქციზო ელექტროსიგარეტის შენახვა-გადაზიდვას. „საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულ იქნა სარეალიზაციოდ განკუთვნილი 1.596 ერთეული უაქციზო ელექტროსიგარეტი, რომლის საბაზრო ღირებულება შეადგენს 47.880 ლარს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის მესამე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 8 წლამდე ვადით“ – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ესპანეთში ბათუმელი მეზღვაური დაიღუპა

ესპანეთში ბათუმელი მეზღვაური დაიღუპა. ინფორმაციას საზღვაო ტრანსპორტის საგენტოში ადასტურებენ. პირველადი მონაცემებით, უბედური შემთხვევის მიზეზი ტვირთის არასწორი დასაწყობება იყო, რის გამოც ტანკერზე ქიმიურმა ნივთიერებამ გაჟონა. პროცესში ჩართულია საგარეო საქმეთა სამინისტრო. უწყების ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქე გარდაცვლილია ინტოქსიკაციით.

– აღნიშნული ფაქტის შესახებ ესპანეთში საქართველოს საკონსულო ინფორმირებულია. სადაზღვევო კომპანია ახორციელებს გადმოსვენების პროცედურებს, – განაცხადეს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

მეტრო 300 არაგველთან სასწრაფო ამოტრიალდა

5 სექტემბერს თბილისში, 300 არაგველის მეტროსთან, სასწრაფოს მანქანა, რომელსაც 80 წლის კოვიდინფიცირებული კლინიკაში გადაჰყავდა, ავარიაში მოყვა. შემთხვევის შედეგად პაციენტი და სასწრაფოს ჯგუფის ორი წევრი დაშავდა. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლითაა დაწყებული, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

რააბი: „ლუკაშენკოს რეჟიმმა რეპრესია უნდა შეწყვიტოს“

გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრი, დომინიკ რაააბი ბელარუსის ხელისუფლებას დაკავებული ოპოზიციონერების, მარია კოლესნიკოვასა და მაქსიმ ზნაკის დაუყოვნებლივ გათავისუფლებისკენ მოუწოდებს.

აღნიშნულის შესახებ მინისტრი „ტვიტერში“ წერს.

„მარია კოლესნიკოვასა და მაქსიმ ზნაკისთვის გამოტანილი განაჩენი ცხადყოფს, რომ ბელარუსის ხელისუფლება დემოკრატიისა და თავისუფლების დამცველებზე თავდასხმას აგრძელებს. ლუკაშენკოს რეჟიმმა უნდა შეწყვიტოს ეს რეპრესია და გაათავისუფლოს ყველა პოლიტიკური პატიმარი“ – წერს გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

ბელარუსის სასამართლომ პრეზიდენტ ლუკაშენკოს წინააღმდეგ მასობრივი ქუჩის საპროტესტო აქციების ერთ-ერთ ლიდერს, მარია კოლესნიკოვას, 11-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

მაქსიმ ზნაკს კი 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. კოლესნიკოვა და ზნაკი იმ ათიათასობით ადამიანთა შორისაა, რომლებიც ბელარუსში ალექსანდრე ლუკაშენკოს საწინააღმდეგო აქციების დაწყების შემდეგ დააკავეს.

თალიბანის იერიშს პანჯშირის ხეობაში ირანი მკაცრად გმობს

ირანი მკაცრად გმობს თალიბანის მიერ პანჯშირის ხეობაში განხორციელებულ სამხედრო იერიშს. შესაბამისი განცხადება ირანის საგარეო სამინისტროს პრესსპიკერმა საიდ ხატიბზადემ გააკეთა.

მისი თქმით, პანჯშირის ხეობიდან მიღებული ცნობები ნამდვილად სამწუხაროა.

– პანჯშირის ალყაში მოქცევა არავითარ შემთხვევაში არ არის მისაღები საერთაშორისო და ჰუმანიტარული სამართლის თვალსაზრისით, – განაცხადა საიდ ხატიბზადემ.

გუშინ, 6 სექტემბერს, თალიბებმა განაცხადეს, რომ პანჯშირის პროვინციაზე სრული კონტროლი მოიპოვეს.

ირანს, რომელიც ავღანეთს ესაზღვრება, 1996-2001 წლებში, თალიბანის ავღანეთის ხელისუფლებაში ყოფნის დროს, დაჯგუფება არ უღიარებია.

ლიბიამ მუამარ კადაფის ვაჟი ციხიდან გაათავისუფლა

ლიბიის ხელისუფლებამ მუამარ კადაფის ვაჟი, საადი კადაფი, ციხიდან გაათავისუფლა.

ლიბიის პრემიერმინისტრობის კანდიდატმა აბდულ ჰამიდ დებიბამ განაცხადა, რომ 48 წლის კადაფი სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად გაათავისუფლეს. გათავისუფლებული კადაფი თვითმფრინავით სტამბოლში გაემგზავრა.

2011 წლის არეულობის დროს საადი კადაფმა ნიგერს შეაფარა თავი, თუმცა 2014 წელს ის დაიკავეს და ლიბიას გადასცეს.

2018 წელს იუსტიციის სამინისტრომ განაცხადა, რომ საადი კადაფი უდანაშაულოდ ცნეს „მკვლელობაში, თაღლითობაში, მუქარის განხორციელებაში.“

მეხიკოში კოლუმბის ძეგლს აბორიგენი ქალის ქანდაკებით ჩაანაცვლებენ

მექსიკის დედაქალაქ მეხიკოს მთავარ მოედანზე ქრისტეფორე კოლუმბის ძეგლს აბორიგენი ქალის ქანდაკებით ჩაანაცვლებენ.

მასშტაბური საპროტესტო აქციების ფონზე, გასულ წელს ქრისტეფორე კოლუმბის ქანდაკებას საღებავი შეასხეს და მთავარი მოედნიდან მოხსნეს. მის ადგილას ადგილობრივი ტომის ქალის ძეგლს აღმართავენ. ქრისტეფორე კოლუმბის ძეგლს კი საბოლოოდ ერთ-ერთ პარკში დადგამენ.

გასული წლის საპროტესტო აქციების ფონზე აშშ-სა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში კოლუმბის არაერთი ძეგლი დააზიანეს და ჩამოაგდეს. ბევრისთვის ის კოლონიზაციისა და რასობრივი ჩაგვრის სიმბოლოდ მიიჩნევა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

2021 წლის გარეული ცხოველების ყველაზე სასაცილო ფოტოსურათები შეარჩიეს

კომიტეტმა ჩომედყ ჭილდლიფე Photography Awards-მა ველური ბუნების სასაცილო ფოტოსურათების კონკურსის ფინალისტები დაასახელა. სულ ფინალში 42 ნამუშევარი გავიდა, რომლებზეც აღბეჭდილია გარეული ცხოველების ცხოვრების ყველაზე მხიარული მომენტები.

კონკურსის ჟიურიმ 7000-ზე მეტი განაცხადი განიხილა.

– უამრავი რაოდენობის გამოსახულება, რომელსაც ჩვენ ყოველ წელს ვიღებთ, იმის დამადასტურებელია, რომ მრავალი ადამიანი ესწრაფვის ბუნების დაცვას და გვახსენებს, რომ ველური ბუნება მართლაც განუმეორებელი და თავშესაქცევია და ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მის დასაცავად, – აღნიშნა კონკურსის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა პოლ ჯონსონ-ჰიკსმა.

კონკურსში გამარჯვების პრეტენდენტებს შორისაა მტრედი ნიღბით, მოხითხითე სელაპი, მოცეკვავე დათვი და გაბრაზებული შაშვი. საუკეთესო ფოტოსურათის გამოსავლენად ხმის მიცემა მიმდინარე წლის 10 ოქტომბრამდე გაგრძელდება, ხოლო გამარჯვებული 22 ოქტომბერს დაჯილდოების ცერემონიაზე გამოცხადდება.

კოლეგების ნაჩუქარმა ბილეთმა ქალს სოლიდური მოგება მოუტანა

ამერიკის კანზასის შტატის ქალაქ მაკფერსონის მკვიდრმა დაბადების დღეზე კოლეგებისგან საჩუქრად ლატარიის ბილეთი მიიღო, რომელმაც მას სიმდიდრე მოუტანა.

მარშა სილვერმა, რომელიც უძრავი ქონების სფეროში მუშაობს, განაცხადა, რომ კოლეგებმა დაბადების დღეზე ორი დოლარის ღირებულების ორი ცალი მომენტალური ლატარიის ბილეთი აჩუქეს.

– მე და ჩემ კოლეგა ჯინის გასულ კვირას დაბადების დღე გვქონდა. ორივეს გვაჩუქეს მისალოცი ბარათები, რომლებშიც ლატარიის ბილეთები ეწყო. მან თავის ბილეთზე დამცავი ფენა გადაფხიკა და მკითხა, რამე ხომ არ მოვიგე. მაშინ ჩემი ბილეთი ვაჩუქე და ვუპასუხე, რომ პრიზის მისაღებად ქალაქ ტოპიკაში მომიწევდა წასვლა, – გაიხსენა სილვერმა.

ქალის თქმით, იმ მომენტში ეგონა, რომ ორი ათასი დოლარი მოიგო, მაგრამ როდესაც ბილეთი ქმარს აჩვენა, მან მიუთითა, რომ ერთი ასო ვერ შენიშნა.

– ქმარმა მითხრა, რომ მე ასო „ლ“ ვერ შევნიშნე, რომელმაც ჩემი მოგება 10-ჯერ გაზარდა. შედეგად ჩემმა მოგებამ 20 ათასი დოლარი შეადგინა. ამას ვერაფრით ვიჯერებდი, ორი ათასი დოლარის მოგებაც კი უზომოდ გამახარებდა, – აღნიშნა ქალმა.

ქალი მოგებული თანხის ნაწილით კოლეგებისთვის წვეულების გამართვას აპირებს, ხოლო დანარჩენ თანხას ოჯახს მოახმარს.

ქალმა ორი უცნობი მამაკაცი საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა

ბრაზილიის ალაგოას შტატში 38 წლის დედამ შარლინ ფერეირა როდრიგესმა ორი უცნობი მამაკაცი დახრჩობას საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა.

როდრიგესი პლაჟზე მეგობრებთან ერთად ისვენებდა, როდესაც ორი ნასვამი მამაკაცი წყალში შევიდა და მალე ჩაძირვა დაიწყეს. თვითმხილველების თქმით, ქალი წყალში მათ დასახმარებლად შევარდა და ოთხის წუთი განმავლობაში ცდილობდა მათ ნაპირზე ამოყვანას, მაგრამ თვითონ დაიწყო დახრჩობა.

ამ დროს იქვე ყოფილმა მაშველმა ჩაიარა, რომელმაც ეს ყოველივე შენიშნა და მათ წყლიდან ამოსვლაში დაეხმარა. ერთ-ერთ მამაკაცს, რომლის ვინაობა უცნობია, სამედიცინო დახმარების აღმოჩენა არ დასჭირვებია, ხოლო მეორე მამაკაცი, 28 წლის კაირო სეზარ პიმენტელ ფელიპე და როდრიგესი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

სეზარ პიმენტელ ფელიპე გადარჩა, თუმცა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ინფორმაცია არ ვრცელდება. ქალი კი საავადმყოფოში გულის გაჩერების შედეგად გარდაიცვალა.

უცნობმა მარტოხელა დედას ფული კარის ქვეშ დაუტოვა

ინგლისის გლოსტერშირის საგრაფოს ქალაქ ჩელტენჰემში მარტოხელა დედამ საკუთარი სახლის კარის ქვეშ კონვერტში ჩადებული ფული აღმოაჩინა, რომელიც უცნობმა პირმა დაუტოვა.

30 წლის ნიკოლ ტირნის ფული სჭირდებოდა და იძულებული გახდა კვების ფონდებისთვის მიემართა, რათა ზაფხულის არდადეგების დროს როგორმე ბავშვები გამოეკვება. ის გაოგნებული დარჩა, როდესაც ბავშვებმა მას კონვერტი მიურბენინეს, რომელზეც ეწერა: „შემთხვევითი სიკეთის აქტი“.

კონვერტში 100 ფუნტი აღმოჩნდა. ქალმა მეგობრებს გამოკითხა, ხომ არ იცოდნენ, ვის შეეძლო მისთვის ფულის მიცემა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო.

– აქამდე ვერ დამიჯერებია ის, რაც მოხდა. არ ვიცი, ეს ვინ გააკეთა, მაგრამ მინდა, რომ მან იცოდეს, თუ ეს ჩვენთვის რამდენად ბევრს ნიშნავს. ორშვილიანი მარტოხელა დედა ვარ და ძალიან მიჭირს, განსაკუთრებით, სასკოლო არდადეგების დროს. მინდა ბავშვები სადმე წავიყვანო, მაგრამ თავს ამის უფლებას ვერ ვაძლევ, – განაცხადა მარტოხელა დედამ.

სექტანტებმა მდინარეში ასობით თავმოჭრილი თხა ჩაყარეს

ამერიკის ჯორჯიას შტატის ქალაქ ატლანტასთან მდებარე მდინარე ჩატახუჩიში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სულ მცირე ორასი თავმოჭრილი თხა ჩაყარეს. ერთ-ერთმა ადგილობრივმა ტელეარხმა თხების მასობრივად დახოცვის მიზეზის გამოძიება დაიწყო. სავარაუდოდ, ცხოველები მსხვერპლად აფროამერიკული სინკრეტული სექტის, სახელწოდებით სანტერიას მიმდევრებმა შეწირეს. ეკოლოგ ჯეისონ ულსეტის თქმით, 30 აგვისტოს მან მდინარეში მოტივტივე 30 თავმოჭრილი ცხოველის გვამი დაინახა.

– ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ასეულობით თხის გვამი ვნახე, თუმცა აქამდე ერთ ჯერზე 20-30 ერთად არასოდეს შემხვედრია, – ყვება ულსეტი და იქვე დაამატა, რომ მდინარის წყალს, რომელშიც თავმოჭრილ თხებს ყრიან, ხუთი მილიონი ადამიანი სასმელად იყენებს.

ზვიგენი მამაკაცს თავს დაესხა და ხელი მოაჭამა

ზვიგენი ავსტრალიის მკვიდრს თავს დაესხა და ხელი მოაჭამა. მიუხედავად ექიმების მცდელობისა, მამაკაცის გადარჩენა ვერ მოხერხდა, ის 5 სექტემბერს დილით გარდაიცვალა.

მტაცებელი თევზის თავდასხმა ახალი სამხრეთ უელსის შტატის ჩრდილოეთ სანაპიროზე მდებარე შელის პლაჟზე დაფიქსირდა. დაშავებულს დასახმარებლად ადგილობრივი სერფერები და დამსვენებლები მისცვივდნენ, მაგრამ მათმა ძალისხმევამ შედეგი ვერ გამოიღო.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაღუპული მამაკაცი დაახლოებით 30 წლის იქნებოდა.

ტერორიზმში ბრალდებულ ბრიტანელს კლასიკური ლიტერატურის კითხვა მიესაჯა

ბრიტანეთის ქალაქ ლესტერის სასამართლომ 21 წლის ბენ ჯონს კლასიკური ლიტერატურის კითხვა მიუსაჯა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას შემდეგ, რაც 18 წლის შესრულდა, ბენ ჯონმა თეთრი რასის უპირატესობის მომხრეთა 67.788 საბუთი, ასევე ბომბის დამზადების ინსტრუქცია გადმოქაჩა. ის ასევე აქვეყნებდა წერილებს, რომლებშიც ამტკიცებდა, რომ ლინკოლნშირის იატაკქვეშა ფაშისტური ორგანიზაციის წევრი იყო და გეების, იმიგრანტების და ლიბერალების წინააღმდეგ გამოდიოდა. ნაფიცმა მსაჯულებმა დე მონტფორტის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი ტერორიზმში დამნაშავედ ცნეს. მას 15 წლამდე პატიმრობა ემუქრებოდა.

თუმცა მოსამართლე ტიმოთი სპენსერმა ჯონის ქმედება „ყმაწვილური სისუსტის აქტად“ ჩათვალა და ორი წლით პირობითი თავისუფლების აღკვეთა, ასევე ჯეინ ოსტინის რომანის „სიამაყე და ცრურწმენების“, ჩარლზ დიკენსის „მოთხრობა ორ ქალაქზე“ და ენტონი ტროლოპის, უილიამ შექსპირის და ტომას ჰარდის წიგნების წაკითხვა მიუსაჯა. წაკითხული წიგნების შესახებ ოთხ თვეში ერთხელ ანგარიშის ჩაბარება ჯონს მოსამართლისთვის მოუწევს.

ლატარიის გამარჯვებულს ცხოვრება დაენგრა და გარდაიცვალა

ირლანდიის ტირონის საგრაფოს ქალაქ სტრაბანის მცხოვრებმა ქალმა ლატარიაში 27 მილიონი ფუნტი სტერლინგი მოიგო, მოგვიანებით კი განაცხადა, რომ ცხოვრება დაენგრა და გარდაიცვალა.

2013 წელს მარგარეტ ლაფრიმ ჯეკპოტი 27 მილიონი ფუნტი სტერლინგი მოხსნა. მაშინ მან ინტერვიუში განაცხადა, რომ ლატარიის ბილეთი იმ დროს იყიდა, როდესაც დასაქმების ცენტრში იმყოფებოდა. იმ დროს მისი შემოსავალი კვირაში 58 ფუნტს შეადგენდა.

– ეს ფული ჩემი არ იქნება, აზრი არ აქვს ფლობდე 27 მილიონ ფუნტს და იყო მარტოხელა. ის მე ბედნიერად ვერ მაქცევს. ბედნიერი მხოლოდ მაშინ ვიქნები, როდესაც ჩემ გარშემო ყველა იქნება ბედნიერი, – განაცხადა ქალმა.

შემდგომში ირლანდიელმა მოგებული თანხით შეიძინა უძრავი ქონება, მათ შორის სახლი 125 ათას ფუნტ სტერლინგად, პაბი და ყოფილი წისქვილი, სადაც დასვენების ცენტრი გახსნა. ის საკუთარ მამულში ქალაქის მკვიდრთათვის ხელმისაწვდომი სახლის აშენებას გეგმავდა. ლაფრიმ მოგებული თანხის თითქმის ნახევარი ქველმოქმედებას მოახმარა.

მოგვიანებით ქალმა განაცხადა, რომ ხალხი მას მილიონებს პარავდა.

– რა თქმა უნდა, ვნანობ, რომ ლატარიაში გავიმარჯვე. ადრე ბედნიერი ადამიანი ვიყავი. ფულმა ცხოვრება დამინგრია, – განაცხადა ლაფრიმ.

მის მიერ შეძენილი წისქვილი არაერთხელ დაწვეს. 2015 წელს ლაფრის ტაქსის მძღოლის შეურაცხყოფის ბრალდებით, 150 საათი გამოსასწორებელი სამუშაოების შესრულება მიუსაჯეს. 2018 წელს ქალს სასამართლოს მიერ 30 ათასი ფუნტი სტერლინგის გადახდა დაეკისრა ყოფილი თანამშრომლისთვის, რომელსაც სასამართლოს დადგენილებით ლაფრი აშინებდა და შურისძიების მიზნით სამსახურიდან გაათავისუფლა. 2019 წელს ქალმა განაცხადა, რომ ლატარიაში გამარჯვება მისთვის ჯოჯოხეთად იქცა.

მოგვიანებით ლაფრიმ თქვა, რომ მას სულ ხუთი მილიონი ფუნტი დარჩა. ის გათხოვილი არასოდეს ყოფილა, მაგრამ მას დარჩა ძმები და და.

გარდაცვალების მომენტისთვის ლაფრი არ მუშაობდა. ის საკუთარ სახლში გარდაცვლილი პოლიციამ აღმოაჩინა. მათი განცხადების თანახმად, ქალის გარდაცვალებაში საეჭვოს ვერაფერს ხედავენ, თუმცა იქვე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ლაფრის გარდაცვალების მიზეზის დასადგენად სასამართლო ექსპერტიზა ჩატარდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მორიგი იმედგაცრუება სანიოლისგან

ესპანეთი-საქართველო 4:0
ბადახოსი. მუნისიპალ ნუევო ვივერო
1:0 გაია (13), 2:0 სოლეხი (25), 3:0 ფ.ტორესი (41), 4:0 სარაბია (63)

ესპანეთი: სიმონი (სანჩესი 74), ასპილიკუეტა, ე.გარსია (მერინო 60), ლაპორტი (ალბიოლი 46), გაია (მენდესი 74), სოლერი, როდრი, ლორენტე, სარაბია, რუისი, ფ.ტორესი (ფორნალსი 60)

საქართველო: ლორია, ჩაბრაძე, კაშია, ლოჩოშვილი, გიორგელიძე (კაკაბაძე 76), აზაროვი (ყაზაიშვილი 57), კანკავა, აბურჯანია (ალთუნაშვილი 68), ზარია (მიქაუტაძე 57), მამუჩაშვილი, დავითაშვილი (ჩაკვეტაძე 68)

განგაშის ზარმა კოსოვოსთან წაგების დროს შემოჰკრა. 5 წლის ნაკრებმა ისე მოუგო საქართველოს, რომ უშანსოდ დაგვტოვა. უკვე ვთქვით, რომ ეს ვილი სანიოლის უცუდესი მატჩი იყო და წაგებაც სრულად მის სინდისზე ეკიდა.

ცხადია, ესპანელებთან მოგების ილუზიაც არ გვქონია, მაგრამ, რბილად რომ ვთქვათ, სანიოლმა პირინეელებთან სასტარტო შემადგენლობის შერჩევით გაგვაკვირვა.

სასტარტო შემადგენლობა პირდაპირ ქართველი გულშემატკივრების შეურაცხყოფა იყო. კითხვებით სავსე... როგორი უკმაყოფილოც არ უნდა იყოს მწვრთნელი ფეხბურთელების თამაშით, ესპანელებთან მოედანზე სამი ისეთი ფეხბურთელი შეუშვა, რომელთაც ნაკრებში დებიუტი აქვთ, ცოტა წარმოუდგენელია. ამასთან, ფეხბურთელები, რომლებიც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში გამოდიან. კიდევ უფრო გასაკვირი ის იყო, რომ თავდამსხმელად იდგა ფეხბურთელი, რომელიც ნახევარმცველია და ლიგის გუნდში ძირითად შემადგენლობაშიც არ მოიაზრება.

მარცხენა მცველი ირაკლი აზაროვი ამჯერად მარცხენა გარემარბის პოზიციაზე გამოჩნდა. აზაროვი სხვებზე მეტად კი ერთვებოდა შეტევაში, მაგრამ ბათუმის დინამოს ფეხბურთელი იგივეს დაცვის პოზიციაზეც ახერხებდა. ფაქტობრივად, ამით არაფერი შეცვლილა.

ვერ მივხვდით გიორგი მიქაუტაძის (გინდათ გიორგი ქვილითაიას) სკამზე დატოვების მიზეზსაც. უთავდამსხმელოდ თამაში მხოლოდ იმ ესპანეთის ნაკრებს შეეძლო, რომელსაც მოედნის ცენტრში ხავი-ინიესტას დუეტი ჰყავდა. სხვა ასეთი გუნდი არ გვახსენდება.

პირველი ტაიმი სრული კატასტროფა იყო. საქართველოს ნაკრები იდგა და ელოდა, როდის გაუტანდა გოლებს ესპანეთი. მასპინძლებმა ეს „არ დაამადლეს“ და 45 წუთში სამჯერ შეარხიეს გიორგი ლორიას კარის ბადე. მეტჯერაც შეეძლოთ, უფრო მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ.

სანიოლი, როგორც კოსოვოსთან მატჩში, არც ესპანელებთან შესვენების დროს შეეცადა რამე შეეცვალა და ეს მხოლოდ მაშინ „იკადრა“, როდესაც ლუის ენრიკეს გუნდმა მეოთხე გაიტანა.

ცვლილებებმა გაამართლა, მაგრამ ეს არ იყო სანიოლის „დამსახურება“. ფრანგ სპეციალისტს უბრალოდ სხვა გზა არ ჰქონდა, რადგან სათადარიგოთა სკამზე სხვა ფეხბურთელები არ ჰყავდა.

ცხადია, მატჩის შემდეგ სანიოლმა საკუთარ თავზე არაფერი აიღო და ყველაფერი ფეხბურთელთა უამბიციობას დააბრალა.

ვილი სანიოლი:

– სანაკრებო სიის შედგენისას ვიცოდით, რომ წინ რთული სექტემბერი გველოდა. მით უმეტეს, როდესაც გავიგეთ, რომ წამყვანი მოთამაშეები ჩვენს დახმარებას ვერ შეძლებდნენ.

კოსოვოს წინააღმდეგ გამართული მატჩის შემდეგ, ერთადერთი, რაც ჩემი ფეხბურთელებისგან მსურდა, იყო, რომ მათ განსხვავებული სახე ეჩვენებინათ. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა, პირველი ტაიმი ძალიან ცუდად ჩავატარეთ, ამბიციის გარეშე ვითამაშეთ. ვთვლი, რომ მეორე ტაიმი ბევრად უკეთესი იყო, ფეხბურთელები უფრო მეტს ცდილობდნენ და ერთადერთი პოზიტივი ეს გახლდათ.

ყველამ დავინახეთ, რომ მიქაუტაძისა და ჩაკვეტაძის შესვლით ჩვენი თამაში უკეთესობისკენ შეიცვალა. თუმცა, ორივე მოთამაშე საკუთარ კლუბებში ცოტა სათამაშო დროს იღებენ და ამიტომ მათ მხოლოდ გარკვეული დროით შეუძლიათ მოედანზე ყოფნა.

ლუის ენრიკე:

– გარედან შეიძლება ადვილი მატჩი ჩანდა, მაგრამ ასე არ ყოფილა. თითქმის სრულყოფილად ვითამაშეთ, ზოგადადაც კარგი შეხვედრა იყო. ცუდი ამბავი ისაა, რომ თითქმის ყველა ცვლილება ტრავმების გამო გავაკეთე. საქართველოს ნაკრებში წინა მატჩთან შედარებით 6 ცვლილება იყო, მაგრამ შედეგისთვის იოლად არ მიგვიღწევია. როგორც ვთქვი, იდეალურად ვითამაშეთ, 4 გოლი გავიტანეთ და საგოლე მომენტები კიდევ გვქონდა. ყოველთვის ვუსმენ ჩემს ფეხბურთელებს, მაგრამ მათაც უნდა მომისმინონ. გუნდში ისეთივე ატმოსფეროა, როგორც ევროპის ჩემპიონატზე იყო, ახლა კი შემდეგ მატჩზე უნდა ვიფიქროთ.

ჩვენივე ჯგუფში კოსოვოს ნაკრები შინ საბერძნეთს დაუხვდა. მატჩი 1:1 დასრულდა. ანგარიში ბერძნებმა პირველი ტაიმის ბოლო წუთზე გახსნეს, ხოლო მასპინძლებმა მატჩის ბოლო წუთზე გაათანაბრეს.

სატუხნიო ცხრილი:

1.ესპანეთი	5	3	1	1	11-5	10
2.შვედეთი	3	3	0	0	6-1	9
3.კოსოვო	4	1	1	2	3-7	4
4.საბერძნეთი	3	0	3	0	3-3	3
5.საქართველო	5	0	1	4	2-9	1

ქართველი მსაჯები საერთაშორისო ასპარეზზე მიიწვიეს

შავი ლომის პარალელურად, რაგბი ევროპის ახალ საკლუბო ტურნირ სუპერ თასში ქართველი მსაჯებიც ჩაერთვებიან.

ქართულ სამსაჯო ბრიგადას, შოთა თევზაძის ხელმძღვანელობით, მიწვევა პირველსავე ტურში ჰქონდა და პორტუგალიაში უნდა ემსაჯა, მაგრამ ქართველი რეფერი ორმაგი დოზით აცრას ვერ ასწრებდა და მე-2 ტურში, ესპანეთში იმსაჯებს.

26 სექტემბერს იბერიანზი ვალიადოლიდში ლუსიტანოსს უმასპინძლებს და მოედნის მსაჯი თევზაძე იქნება. კიდეებიდან კი გელა ლემონჯავა და სოსო ჯაფარიძე დაეხმარებიან.

27 წლის მსაჯი ამბობს, რომ მისი მიზანი სუპერთასის ფინალური შეხვედრის მსაჯობაა.

გიორგი თევზაძე:

– კარგია, რომ ახალი ტურნირის დასაწყისშივე რაგბი ევროპის ყურადღების ცენტრში ვართ და პირველსავე ტურში მივიღეთ დანიშვნა. პორტუგალიაში უნდა მემსაჯა, მაგრამ 2 აცრის გაკეთებას ვერ ვასწრებდი და რეგულაციებიდან გამომდინარე, იგივე გუნდების თამაშს ესპანეთში განვსჯი. უფრო მაღალი დონის შეხვედრებიც მიმსაჯია და საკმაო გამოცდილება მაქვს იმისათვის, რომ მიზნად ფინალის მსაჯობა დავისახო, მაგრამ ეს ბევრ რამეზე იქნება დამოკიდებული.

24 წლის გელა ლემონჯავამ გვერდით მსაჯად რაგბი ევროპის „ალაფაზე“, გერმანიისა და შვეიცარიის ნაკრებების შეხვედრაში იმუშავა, ახლა კი უფრო მაღალი დონის შეხვედრას მოემსახურება. რაც შეეხება 25 წლის იოსებ ჯაფარიძეს, მსაჯობა 2 წლის წინ დაიწყო და საერთაშორისო დებიუტს ელოდება.

ევროპირველობის მასპინძლები დღეს ერთმანეთს ეთამაშებიან

საქართველოს 21 წლამდე ნაკრები 2023 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის ემზადება. როგორც უკვე იცით, საქართველო, რუმინეთთან ერთად, ახალგაზრდული ევროპირველობის მასპინძელია. აქედან გამომდინარე, შესარჩევი ეტაპიდან გათავისუფლებულია.

ანალოგიურ სიტუაციაში რუმინეთს ეროვნული გუნდიც, ამიტომ ეს ნაკრებები მომავალი ევროპირველობის მოსამზადებლად ერთმანეთში ამხანაგურად დღეს ითამაშებენ.

ორივე გუნდმა მატჩისწინა ვარჯიში გამართა და ურთიერთობას უკვე მოედანზე გაარკვევენ.

რამაზ სვანაძის გაწვრთნილი გუნდი რუმინეთში ასეთი შემადგენლობით ჩავიდა:

მეკარეები: გურამ ჩიკაშუა (ვიტჯორჯია), თორნიკე მეგრელიშვილი (საბურთალო), ლუკა ნანავა (კოლხეთი 1913);

მცველები: ცოტნე კაპანაძე (თელავი), თორნიკე ჯანგიძე, ლევან ხარაბაძე, სანდრო კალანდაძე (ყველა დინამო თბ), ჯემალ-გიორგი ჯინჯოლავა (კადისი, ესპანეთი), ივა გელაშვილი (სპარტა პრაღა, ჩეხეთი), ზურაბ ჭავჭანიძე (რუსთავი), შოთა ნონიკაშვილი (საბურთალო), დავით სამსონია (დინამო ზ);

ნახევარმცველები: ნიკა გაგნიძე (დილა გორი), გიორგი გოჩოლეიშვილი, გიორგი გულიაშვილი, ბექა ხარაიშვილი (ყველა საბურთალო), ანზორ მექვაბიშვილი, გიორგი მოისწრაფიშვილი (ორივე დინამო თბ), რევაზ ინჯგია (აპოლონი, კვიპროსი), ანატოლი მესიაჩენკო, გიორგი ლომთაძე (ორივე სამტრედია);

თავდამსხმელები: გიორგი გაგუა (ალავესი, ესპანეთი), შოთა შეყილაძე (თელავი).

რამაზ სვანაძის გუნდი რუმინელ თანატოლებს ვოლუნტარის ანგელ იორდანესკუს სახელობის სტადიონზე 22:00 საათზე დაუპირისპირდება.

ბრაზილიისა და არგენტინის მატჩი ხელისუფლებამ ჩაშალა

2022 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩი ბრაზილიისა და არგენტინის ნაკრებებს შორის, რომელიც სან პაულუში გაიმართა, დაწყებიდან 6 წუთში დასრულდა.

ყველაფრის მიზეზი კი ჯანმრთელობის დაცვის სამსახური გახდა, რომლის წარმომადგენლები მატჩის მიმდინარეობისას უშუალოდ მოედანზე შევიდნენ და არგენტინელთა 3 ფეხბურთელის გაყვანა მოითხოვეს.

მეკარე ემილიანო მარტინესს, ჯიოვანი ლო სელსოსა და კრისტიან რომეროს ბრაზილიის ხელისუფლებამ ბრალი კოვიდრეგულაციების დარღვევასა და ქვეყანაში არალეგალურად შეღწევაში დასდო.

საქმეში ბრაზილიის ფედერალური პოლიციის წარმომადგენლებიც ჩაერთნენ. ისინი ქვეყნიდან უკვე მეოთხე არგენტინელი ფეხბურთელის, სათადარიგოთა სკამზე მჯდომი ემილიანო ბუენდიას დეპორტაციასაც ცდილობდნენ.

ეს ოთხეული ინგლისის პრემიერლიგაში თამაშობს და დიდი ბრიტანეთიდან სამხრეთ ამერიკაში გასულ კვირას ჩავიდნენ. საქმე ისაა, რომ ფეხბურთელები ინგლისიდან ვინმესთვის საკამათო, მაგრამ მაინც წესის დარღვევით ჩავიდნენ.

თითქმის ერთსაათიანი აურზაურის შემდეგ, სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციამ (კონმებოლი) მატჩი ჩაშლილად გამოაცხადა.

ახლა საქმეს კონმებოლის დისციპლინარული კომისია განიხილავს და, დიდი ალბათობით, ბრაზილიის ნაკრებსა და ფეხბურთის ფედერაციას დასჯის.

მაინც რა რეგულაცია დაარღვიეს ბრაზილიაში ბრიტანეთიდან ჩასულმა არგენტინელმა ფეხბურთელებმა?

ბრაზილიური კოვიდრეგულაციების თანახმად, ყველა, ვინც ქვეყანაში შესვლამდე 14 დღით ადრე ბრიტანეთშია ნამყოფი, ვალდებულია 14-დღიანი კარანტინი გაიაროს. ხსენებულ ოთხეულს კი, ვენესუელიდან ბრაზილიის საზღვრის გადაკვეთისას საიმიგრაციო ანკეტებში არ ჩაუწერიათ, რომ ბოლო 2 კვირის განმავლობაში ბრიტანეთში ნამყოფები იყვნენ.

თუმცა, საინტერესო ის არის, რომ ბრაზილიელმა სამართალდამცველებმა არგენტინელ ფეხბურთელებს ქვეყანაში შესვლისას არაფერი უთხრეს. ისინი არგენტინული დელეგაციის დანარჩენ წევრებთან ერთად მშვიდად ამგზავრეს აეროპორტიდან სასტუმროსკენ, შემდეგ სასტუმროდან სტადიონისკენ და მხოლოდ მატჩის დაწყებიდან 5 წუთში დაიწყეს კანონის აღსრულება.

როდესაც თამაში შეჩერდა, არგენტინის ნაკრები გასახდელში შევიდა, მოედანზე კი, „ალბისელესტეს“ კაპიტანი ლეო მესი და ბრაზილიელთა კაპიტანი, მესის თანაგუნდელი პარი სენ ჟერმენიდან, ნეიმარი დარჩნენ.

ლეო მესი:

– ჩვენ სტადიონზე ერთი საათის მისულები ვიყავით. მაშინ, რატომღა დაგვაწყებინეს თამაში და 5 წუთის შემდეგ რატომ შემოვიდნენ მოედანზე?

ლიონელ სკალონი, არგენტინის ნაკრების მწვრთნელი:

– მოედანზე უნდა გამართულიყო საფეხბურთო ზეიმი. მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელების ნახვა მთელს დედამიწას უნდოდა. თამაში გვინდოდა ჩვენც და ბრაზილიელებსაც. რაც მოხდა, ძალიან სამწუხაროა. დამნაშავეებს არ ვეძებ. ერთი ფაქტია: ჰქონდათ მიზეზი თუ არა, კანონის დასაცველად ძალიან ცუდი დრო შეარჩიეს.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

შედეგები

5 სექტემბერი

მწ-2022. შესარჩევი ეტაპი

ევროპა

ბელარუსი-უელსი 2:3
ალბანეთი-უნგრეთი 1:0
ინგლისი-ანდორა 4:0
ბულგარეთი-ლატვია 1:0
ისლანდია-ჩრ.მაკედონია 2:2
ბელგია-ჩეხეთი 3:0
გერმანია-სომხეთი 6:0
ესპანეთი-საქართველო 4:0
კოსოვო-საბერძნეთი 1:1
რუმინეთი-ლიხტენშტეინი 2:0
სან მარინო-პოლონეთი 1:7
შვეიცარია-იტალია 0:0

ა.მაღრიკა

ეკვადორი-ჩილე 0:0
პარაგვაი-კოლუმბია 1:1
ურუგვაი-ბოლივია 4:2
პერუ-ვენესუელა 1:0

ჩონჯაჯაფი

იამაიკა-პანამა 0:3
კოსტა რიკა-მექსიკა 0:1
სალვადორი-ჰონდურასი 0:0
აშშ-კანადა 1:1

აფრიკა

რუანდა-კენია 1:1
ტოგო-ნამიბია 0:1
გაბონი-ეგვიპტე 1:1

ამხანაგური მატჩები

ნეპალი-ინდოეთი 1:2
შვედეთი-უზბეკეთი 2:1
ესტონეთი-ჩრ.ირლანდია 0:1

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ბურგოსი-ვალიადოლიდი 3:0
იბიცა-ამორებიეტა 1:1
ალკორკონი-სარაგოსა 1:2
მირანდესი-ლას პალმასი 4:2

ჩოგბურთი

ამერიკის ღია პრივეტობა

კაცები

ვან დე ზალცხუპი-შვარცმანი	6:3,6:4, 5:7, 5:7, 6:1
ევანსი-მედვედევი	3:6, 4:6, 3:6
გოვეჩიკი-ალკარასი	7:5, 1:6, 7:5, 2:6, 0:6
ტიაფო-ოჟე ალიასიმი	6:4, 2:6, 6:7, 4:6

ქალები

სვიტოლინა-ჰალეპი	6:3, 6:3
კერბერი-ფერნანდესი	6:4, 6:7, 2:6
მერტენსი-სობოლენკო	4:6, 1:6
კრეიჩიკოვა-მუგურუზა	6:3, 7:6

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ნეფე-დედოფლის თანამხლები პირები ქორწილში; 2. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 3. დიდი ქალაქების, სამრეწველო ცენტრების ცაზე დაგროვილი შავი, სქელი ნისლი; 4. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 5. ავადმყოფობის დროებით შესუსტება; 10. სამეფო საგვარეულო; 11. რაჭაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 12. თეთრი ბოჭკოვანი მინერალი, ცეცხლგამძლე საიზოლაციო მასალა; 15. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 16. ქვის ხავსი; 17. ცხარე გემოს, ფრანგული ცხვრის ყველი; 20. აკვალანგის გამომგონებელი ფრანგი ოკეანოგრაფი.

თარაზულად: 6. გულის მუშაობის გრაფიკული გამოსახულება; 7. ჩაის მწარმოებელი ქართული ფირმა; 8. გერმანული ჟურნალი; 9. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 13. რაიონული ცენტრი იმერეთში; 14. ეგრისის მეფე მეექვსე საუკუნეში; 18. ქართული ხალხური თამაში ბურთით; 19. ტოლგვერდა და ირიბკუთხა პარალელოგრამი; 21. უმცროსი მატროსი გემზე; 22. სქელი, ტყავისებრი ფოთლების მქონე ოთახის მარადმწვანე დეკორატიული მცენარე; 23. გერმანელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 24. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ხულა; 2. ეპოსი; 3. მღილი; 5. ბალეტი; 6. ნუვორიში; 9. პრეფერანსი; 10. წალენჯიხა; 11. მარასკინი; 14. კიი; 16. თუშეთი; 18. ბიტი.

თარაზულად: 1. ხარება; 4. კაბოშონი; 7. ყოჩები; 8. ლინდერი; 12. პეტრა; 13. აკვანი; 15. ცეზურა; 17. ტაო; 19. ღვინობისთვე; 20. გინეა; 21. ჩინური.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. სინაგოგა; 2. ალუბალი; 3. აორტა; 4. კაშხალი; 5. ბრავადა; 10. მასანდრა; 11. ვაშინგტონი; 12. ესკადრა; 15. ამაშუკელი; 16. ბაიერი; 17. უიარაღო; 20. პონტო.

თარაზულად: 6. ცივილისტიკა; 7. კაბერნე; 8. არაბიკა; 9. ქორალი; 13. ყავა; 14. კახასა; 18. კლვადოსი; 19. პირსი; 21. ჭონია; 22. რიბოკი; 23. ჩოჩიშვილი; 24. ბეისბოლი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

7 სექტემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1132

ევრო — 3.6929

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3071

100 რუსული რუბლი — 4.2669

ამინდის პროგნოზი 7 სექტემბრისათვის

რომელუ ლუკაკუ: „მანჩესტერ იუნაიტედში ბედნიერი არ ვიყავი“

ჩელსის ახალწვეულმა რომელუ ლუკაკუმ წარსული გაიხსენა და თქვა, რომ მანჩესტერ იუნაიტედში გატარებული პერიოდი მისთვის ნაკლებად სასიამოვნო გასახსენებელია, რადგან იქ ის ბედნიერი არ ყოფილა:

– მანჩესტერში ჩემს საქმეს კარგად ვაკეთებდი, მაგრამ ეს ბედნიერებას არ მანიჭებდა. მიზეზებზე საუბარი რთულია. ჩელსიში თავს კარგად ვგრძნობ და მინდა, რომ ეს შეგრძნება დიდხანს გამყვეს.

კიელინი: „ორ წელიწადში კარიერას დავასრულებ“

ტურინის იუვენტუსის ცენტრალურმა მცველმა ჯორჯიო კიელინიმ განაცხადა, რომ ის კარიერას დიდი ალბათობით ორი წლის შემდეგ დაასრულებს, როდესაც მას იუვენტუსთან კონტრაქტი ამოეწურება.

კიელინის თქმით, მას ფეხბურთში დასამტკიცებელი არაფერი დარჩა:

– მინდა, რომ იუვენტუსში ჩემი ვალდებულებები ბოლომდე შევასრულო და ამ გუნდისთვის თავს არ დავზოგავ. როდესაც კონტრაქტი დამიმთავრდება, კარიერას დავასრულებ.

რონალდ კუმანი: „ბაიერნთან თამაში ყოველთვის საინტერესოა“

ბარსელონას მთავარმა რონალდ კუმანმა განაცხადა, რომ ბაიერნთან თამაში მისი გუნდისთვის ყოველთვის საინტერესოა, რადგან ბაიერნში განსაკუთრებული ფეხბურთელები თამაშობენ და მისი გუნდისთვის ეს დიდი გამოცდა იქნება:

– ბაიერნთან შეხვედრას მოუთმენლად ველი, რადგან მინდა, რომ ვნახო, ჩემს გუნდს რა შეუძლია ასეთი ძლიერი გუნდის წინააღმდეგ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ალექსანდრე წივწივაძე მსოფლიო ჩემპიონია

პორტუგალიის ქალაქ მონტემორში 23 წლამდე კანოისტთა შორის მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე ალექსანდრე წივწივაძემ ოქროს მედალი მოიპოვა.

ჩვენებურმა ფინალში 500-მეტრიანი დისტანცია 1:55 წუთში გაიარა და მეორე ადგილსანს, რუს მაქსიმ კარატაევს 00:27 მეასედი წამით აჯობა. 1.57.15 წუთით მე-3 ადგილზე 1.000 მეტრზე მსოფლიოს ჩემპიონი, მოლდოველი მიჰაი ჩიჰაია გავიდა.

პორტუგალიაშივე შესანიშნავად იასპარეზა მარიამ ქერდიკაშვილმაც. ჩვენებურმა ერთადგილიანი კანოეთი 200-მეტრიანი დისტანციის ფინალში მე-2 ადგილი დაიკავა.

ქერდიკაშვილის დრო 46.73 წუთი იყო და კანადელ მსოფლიოს ჩემპიონ სოფია იენსენს (46.59) მხოლოდ 0.14 წამით ჩამორჩა. 47.15 წამით მესამე ადგილზე პოლონელი კატარჟინა სპერკიევჩი გავიდა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ასტროპროგნოზი

7 სექტემბრისათვის

ვერძი – ფუჭი საუბრები, არასაჭირო ურთიერთობები უსიამოვნებას შეგამთხვევთ. კრიტიკული დღეა. საყიდლებზე წასასვლელად სხვა დრო შეარჩიეთ. **კურო** – ფინანსებს გაუფრთხილდით. ფული ეკონომიურად ხარჯეთ. გარისკვა გაუმართლებელია. **ტყუპები** – მიღებულ შემოთავაზებას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. მეგობრებთან ურთიერთობა გაგახალისებთ. **კირჩხიბი** – ოცნება აგისრულდებათ. საქმიანი შეხვედრები სასურველ შედეგს არ გამოიღებს. **ლომი** – დღის ნეგატიურ ტენდენციებს თქვენი სითამამე და აქტიურობა გააქარწყლებს. ერიდეთ კონფლიქტს კოლეგებთან. **ქალწული** – ემოციები აკონტროლეთ. მოთმინება და თავშეკავება უსიამოვნებას თავიდან აგაცილებთ. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა სოციალური კონტაქტებისათვის. პირად ცხოვრებაში ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციები ჭარბობს. **ღრიანაკალი** – საქმიანი ურთიერთობები არ გაამართლებს. გუნებაგანწყობა ხშირად გეცვლებათ. **მშვილდოსანი** – კომერციულ სფეროში არ იაქტიუროთ. კარგი იქნება დასვენება და გართობა უახლოესი მეგობრების წრეში. **თხის რქა** – ახალგაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობისას იფრთხილეთ. ამბიციურობა და კატეგორიულობა დღეს დაგაზარალებთ. **მერწყული** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. ზომიერება დაიცავით ნებისმიერი საქმიანობისას. სერიოზულ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **თევზები** – რეალობა ადეკვატურად მიიღეთ. ილუზიებისაგან საჩქაროდ გათავისუფლდით. ჯანმრთელობას მეტი ყურადღებით მოეკიდეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

მამაკაცი მაღაზიის მეპატრონეს ეკითხება:

– რატომ იყიდება თქვენთან არაყი „აბსოლუტი“ 30 ლარად, მაშინ როდესაც ქუჩის გადაღმა მაღაზიაში 15 ლარი ღირს?

– მომწონს, ასეთ შეკითხვას რომ მისვამენ! თქვენც ადექით და იმ მაღაზიაში იყიდეთ არაყი „აბსოლუტი“!

– სამწუხაროდ, იქ ეგ არაყი აღარ აქვთ.

– ჰოდა, როდესაც მეც აღარ მექნება „აბსოლუტი“, მეც 15 ლარად გავყიდი!

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ყრუ ვიყავი, ბრმა და უტვინო, შენ რომ ცოლად გამოგყევი!

– ქალო, მადლობელი არ ხარ, ამდენი ნაკლი გქონია და მაინც ცოლად მოგიყვანე?!

●●●

ქმარი სახლში მთვრალი ბრუნდება, მაგრამ ცდილობს, არ შეიმჩნიოს. ცოლი ეკითხება:

– დალიე?!

– არ დამილევია.

– აღიარე, რომ ნასვამი ხარ!

– არ დამილევია.

– ფეხზე ძლივს დგახარ, კედელს ეყუდები! კიდევ ერთხელ გეკითხები, დალიე?!

– არ დამილევია.

– კარგი, მაშინ თქვი „გიბრალტარი“

– დავლიე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თამთა ჭელიძე საზოგადოებრივ მაუწყებელზე აღარ მუშაობს

მომღერალმა თამთა ჭელიძემ საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელთან 5-წლიანი თანამშრომლობა დაასრულა და სამუშაოდ პოსტივიზე ერთ-ერთი გადაცემის პროდიუსერად გადავიდა:

– დიდი მადლობა საზოგადოებრივ მაუწყებელს 5-წლიანი საინტერესო თანამშრომლობისთვის, ძვირფასი ადამიანების შეძენისთვის. მიყვარხართ ჩემო გოგონებო.

დეა კულუმბეგაშვილი სან სებასტიანის კინოფესტივალის ჟიურის თავმჯდომარე იქნება

ქართველი რეჟისორი დეა კულუმბეგაშვილი სან სებასტიანის საერთაშორისო კინოფესტივალის ჟიურის თავმჯდომარე იქნება. კინოფესტივალი, რომელიც 17-25 სექტემბერს გაიმართება, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული, ა კლასის კინოფესტივალია. ქართველ რეჟისორს ამ ფესტივალთან განსაკუთრებული ისტორია აკავშირებს – დეას სრულმეტრაჟიანმა მხატვრულმა ფილმმა „დასაწყისი“ გასულ წელს ამ ფესტივალზე ნამდვილი ტრიუმფი მოახდინა და 4 ჯილდო აიღო.

ხატია ბუნიათიშვილი ვენეციის კინოფესტივალზე ჩავიდა

პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალზე ჩავიდა, სადაც მსოფლიოში ცნობილი ბრენდის კარტიეს სამკაულებს კიდევ ერთხელ გაუკეთა რეკლამა.

ხატიამ ფოტოგრაფებისთვის არმანის მაკიაჟითა და ვარცხნილობით, შავი კაბითა და კარტიეს სამკაულით იპოზიორა.

ქართველ მუსიკოსთან ფოტოების გადაღების სურვილი არაერთმა ცნობილმა ადამიანმა გამოთქვა.

„პატარების დიდი შოუ“ მეორე სეზონით ბრუნდება

ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „პატარების დიდი შოუ“ ეთერში 13 სექტემბერს დაბრუნდება და ტელემაყურებელს არაერთ ნიჭიერ პატარას გააცნობს. „პატარების დიდი შოუს“ მეორე სეზონის ჩაწერები უკვე დაწყებულია და მისი წამყვანი ისევ დუტა სხირტლაძე იქნება.



რეჟისორი ალექსანდრე ჟღენტი გარდაიცვალა

კინორეჟისორი, სცენარისტი, აფხაზეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ალექსანდრე ჟღენტი გარდაიცვალა.

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრის, საქართველოს სპორტული კინოსა და ტელევიზიის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტის, საერთაშორისო კინოფესტივალების ლაურეატისა და ქართული კინოს სამყაროში გამორჩეული პიროვნების გარდაცვალების შესახებ სამწუხარო ინფორმაცია მისმა უახლოესმა მეგობარმა ქეთი დოლიძემ გაავრცელა:

– წავიდა ჩემი ალიკა ჟღენტი! ჩვენმა კლასმა იცის, როგორი ჩემი იყო. ვგიჟდებოდით ტელეფონით საუბარზე! 2, 3 საათი გრძელდებოდა ეს საუბრები. როგორ დამეგლიჯა გული! მშვიდობით, ჩემო კარგო ადამიანო! არავინ მიცნობდა ისე, როგორც შენ. შენი ნაჩუქარი არაჩვეულებრივი კოლაჟი კი 50 წელზე მეტია, თავთან მიკიდია! „რომი 11 საათზე!“ დანარჩენს ჩემს წიგნში გეტყვი.

თენგიზ აბულაძის „მონანიება“ ესტონეთში აჩვენეს



რეჟისორ თენგიზ აბულაძის ფილმი „მონანიება“ ესტონეთის დედაქალაქ ტალინში აჩვენეს. ჩვენება ესტონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით მოეწყო.

ღონისძიება მიეძღვნა როგორც საქართველოს, ასევე ესტონეთის დამოუკიდებლობის აღდგენის 30 წლისთავს.

ფილმის ჩვენებას ესწრებოდნენ ესტონეთის სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციების, კულტურის წრეების, მედიისა და ესტონეთში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ১

შვეულად: 1. მუსლიმთა წმინდა ქალაქი ირანში; 2. ამერიკული სამხედრო მოიერიშე ვერტმფრენების სერია; 3. ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატი; 5. რძის პროდუქტი; 6. სასტუმრო ავტოტურისტებისთვის; 9. სამხედრო ავიაციის ქვედანაყოფი; 10. ძველი გერმანული ტომი, რომელმაც მეხუთე საუკუნეში გაძარცვა და სასტიკად დაარბია რომი; 11. საეკლესიო წესით ქორწინება; 14. ცნობილი იაპონელი მევიოლინე ქალი; 16. გობელენის ერთ-ერთი სახეობა; 18. ლატვიის დედაქალაქი.

თარაზულად: 1. შენობის სახურავად გამოყენებული ნაპობი თხელი ფიცარი ძველად საქართველოში; 4. სხეულთა მოძრაობის კანონების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 7. ბელგიური ავიაკომპანია; 8. სპეციფიკური ძმაფრი გემოს მქონე მწვანილი; 12. წითელი ზღვისპირა კურორტი იორდანიაში; 13. დენის ძალის საზომი ერთეული ფიზიკაში; 15. მეფის განსაკუთრებული მნიშვნელობის ბრძანებულება; 17. შიშველი სხეულის გამოსახულება სახვით ხელოვნებაში; 19. სახელმწიფო კავკასიაში; 20. ღვინის სასმისი; 21. გულდა კალაძის ქანდაკება ბიჭვინთაში.



შეადგინა თ.გოგინაშვილმა